# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 13 აგვისტო 1993 № 4 (51) ფასი 70 კუპონი

**3** დიდი მატჩის კვირაძალს

რეპორტაჟი დილმის ბაზიდან

**4** მეტოქე უინძორ პარკიდან

ოლსტერელი „ლურჯების“ ისტორია

**6** წლის უმთავრესი შეჯიბრება

„ნეკარშტადიონი“ ულტრუისტებოდ

**7** მეთორმეტე რეკორდისკენ

ჯუმბერ ლეჟავა გზას გაუდგა

# თბილისური დერბი

## „დინამო“ — „შევარდენი 1906“ 7:1

ბრძოლა არ შედგა. „დინამომ“ ერთხელაც არ მისცა შანსი „შევარდენს“. პირველიდან ბოლო წუთამდე თამაშობდა ერთი გუნდი — „დინამო“, „შევარდენი“ კი მხოლოდ ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია. დინამოელებმა შვიდივე იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანეს. მატჩის დასაწყისში პატარა ძალების მოსინჯვის შემდეგ არჩილ არველაძე მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში, საოცრად ლამაზი ცრუ მოძრაობით მოატყუა რამდენიმე შევარდნელი და გახსნა ანგარიში. შემდეგ ქინქლაძის ჯერი დადგა: მეორე და მესამე გოლები საქართველოს საუკეთესო მოთამაშემ ტიტულის შესაფერისი გაიტანა, ინდივიდუალურად, რამდენიმე მეტოქის მოტყუების შემდეგ. „შევარდენმა“ დაცვა გააძლიერა: მოედანზე გამოიყვანა იუბილარი ელიაშვილი (მას გუშინ 31 წელი შეუსრულდა), მაგრამ დინამოელთა შეჩერება შეუძლებელი იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში ახლადგამოსულმა ანჩაბაძემ საჯარიმოში ისეთი პასი მისცა ინალიშვილს, რომ შეგორების გარდა არა უნდოდა რა — 4:0. შემდეგ რეზო არველაძემ ან უკვე მისთვის ტრადიციული ჯარიმა დაარტყა „კედლის“ ავლით ცხრიანში. 5:0. მერე ტყუპებმა იძალეს, შოთამ გარღვევაზე გაიყვანა არჩილი ადა მანაც „თავისი“ მარცხენა ფლანგიდან მოატყუა მცველი და ოსტატურად დაარტყა შორეულ კუთხეში — 6:0. მატჩის მიწურულს დინამოელებმა თავს უფლება მისცეს მოშვებულიყვნენ და შეცდომა დაცვაში უმალ გოლად დაუჯდათ: გოგიჩაიშვილმა დასაჯა ისინი 6:1. მატჩის ბოლოს კი რეზო არველაძემ, მას შემდეგ, რაც „შევარდენის“ საჯარიმოში დინამოელებმა თითქმის ათი პასი გააკეთეს, მოჭრილი დარტყმით წერტილი დაუსვა მატჩის შედეგს — 7:1.

წინა ტურში ჩვენმა გაზეთმა შეაქო განახლებული „შევარდენი“ და მართალი გითხრათ, იმ განწყობით მივედი სტადიონზე, რომ საინტერესო ორთაბრძოლის მომსწრე გავხდებოდი და თუ განბილებული დავბრუნდი რედაქციაში, მხოლოდდამხოლოდ დინამოელების „ბრალია“. „დინამო, არ ვიცი რამდენით, მაგრამ კარგა ბევრი თავით მაღლა დგას ეროვნულ ჩემპიონატში. ტრიბუნაზე გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ „დინამო“ უნდა გამოირიცხოს ჩემპიონატიდან და ორ გუნდად გაყოფილმა ერთმანეთში გაითამაშოს ჩემპიონობაო. ამ წმინდა ბრიტანულ ამინდში მისულმა ათასამდე გულშემატკივარმა აღტაცებულმა „ჩაიბარა“ დინამოელთა რეპეტიცია. სხვათაშორის, 20 საათზე თამაში სავსებით შესაძლებელი ყოფილა და იმედია, ერთ კვირაში „ლინფილდიც“ თავჩაქინდრული დასტოვებს ჩვენი სტადიონის მწვანე გაზონს.

შესაძლებელია, ჩემი წერილი ძალზე პათეტიკურად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ვინც თამაში ნახა (დარწმუნებული ვარ, „შევარდენის“ გულშემატკივრებიც) დამეთანხმება, რომ „დინამო“ მართლაც საოცარ ფორმაშია.

მამუკა კვარაცხელია

P.S. ყველმს მოეხსენება, რა სიხარული განვიცადეთ ქართველმა გულშემატკივრებმა, როდესაც „დინამო“ ჩემპიონთა თასზე დაუშვეს, მაგრამ რომ არ დაეშვათ, ძალზე ბევრს დაკარგავდა... საფეხბურთო ევროპა.

ეს გუნდი ევროპამ უნდა ნახოს!









„სარბიელის“ ფოტორეპორტიორის გია ახალაძის ფოტოებზე აღბეჭდილია არჩილ არველაძის მიერ „შევარდენის“ კარში გატანილი პირველი გოლი.



აღმოსავლეთი. 11 ტური

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| შევარდენი 1906 | 1 |

თბილისი, ეროვნული სტადიონი. 12 აგვისტო

„დინამო“: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული (ანჩაბაძე, 46), რ. არველაძე, ქინქლაძე (ქველაძე, 50), შ. არველაძე.

„შევარდენი 1906“: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ჯიქია (ელიაშვილი, 22), ნადირაძე, ქორქლაძე (ბაკურაძე, 69), გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ჯანაშია.

1:0 ა. არველაძე (10)
2:0 ქინქლაძე (19)
3:0 ქინქლაძე (40)
4:0 ინალიშვილი (52)
5:0 რ. არველაძე (62)
6:0 ა. არველაძე (79)
6:1 გოგიჩაიშვილი (83)
7:1 რ. არველაძე (89)

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

11 ტური. 12 აგვისტო

### აღმოსავლეთი

„ივერია“ — „კახეთი“ 1:1
„მაღაროელი“ — „მარგვეთი“ ?
„საპოვნელა“ — „ერქვანი“ 0:0
„დინამო“ — „შევარდენი 1906“ 7:1
„მრეტები“ — „მეტალურგი“ 13.08

11 ტური. 12 აგვისტო

### დასავლეთი

„ცხუმი“ — „გურია“ 1:7
„მზიური“ — „ბათუმი“ ?
„ამირანი“ — „სამტრედია“ ?
„შუქურა“ — „კოლხეთი 1913“ 1:3
„სამგურალი“ — „ტორპედო“ ?

საქართველოს ჩემპიონატი

# დასავლეთში ფოთი ლიდერობს

მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ასევე გაგრძელდა მეორე ტაიმის ათი წუთიც, შემდეგ კი უპირატესობა ფოთელთა მხარეს გადავიდა და მათ არ გაჭირვებიათ მატჩის მოგება. დებიუტანტის ვეტერანს გორგილაძეს ორჯერ შეეძლო დაესაჯა სტუმრები, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშეს დევაძემ და მაჭავარიანმა. თავის მხრივ ჯულელსაც და მახარაძესაც გაუცუდდათ საგოლე მომენტები. რაც შეეხება გოლებს, სტუმრების პირველ და მეორე გოლებზე ქობულეთელებმა პრეტენზია გამოთქვეს: პირველ შემთხვევაში საჯარიმო ისე დაარტყა მახარაძემ, მსაჯს არ ჰქონდა ნიშანი მიცემული, ტორჩინავა კი დარტყმის დროს თამაშგარე იყო. საბედნიეროდ, ამას მაყურებლის მხრიდან უწესრიგობა არ მოჰყოლია და შეხვედრა უკონფლიქტოდ დასრულდა, თუ არ ჩავთვლით გაძევების დროს ორი გუნდის ფეხბურთელებს შორის პატარა შეხლა-შემოხლას.

**დელმარ ქურიძე,**
ქობულეთიდან

დასავლეთი. II ტური

| | |
|---|---|
| შუქურა | 1 |
| კოლხეთი 1913 | 3 |

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი. 12 აგვისტო

შუქურა: ბერაძე, კოროტკოვი, ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, გვიანიძე, ლონღაძე, გვასალია (კედელაძე, 63), გორგილაძე, ღლონტი.
კოლხეთი 1913: დევაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია (მიქაბერიძე, 54), ცომაია, გოროზია (ბულუხია, 75), მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ტორჩინავა.

0:1 მახარაძე (21)
1:1 კაკუბავა (35)
1:2 ტორჩინავა (60)
1:3 დარასელია (71)

გაფრთხილება: კანდელაკი, დარასელია
გაძევება: ცომაია, კაკუბავა (39, ორმხრივი უხეში თამაშისთვის)
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

## სტატისტიკა. I ტური

| | ალმ. | დას. | სულ |
|---|---|---|---|
| მატჩი | 5 | 5 | 10 |
| გოლი | 13 | 23 | 36 |
| საშუალო შედეგიანობა * | 2,6 | 4,6 | 3,6 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | |
| ქულები | 15-0 | 13-1 | 28-1 |
| პროცენტულად | 100-0 | 93-7 | 97-3 |
| ბურთები | 13-0 | 18-5 | 31-5 |
| პროცენტულად | 100-0 | 78-22 | 86-14 |
| გაძევება | 0-1 | 0-1 | 0-2 |
| გაფრთხილება | 5-3 | 2-3 | 7-6 |
| პენალტი | 1-1 | 3-2 | 4-3 |
| გამოყენებულია | 1-0 | 3-2 | 4-3 |
| დიდი ანგარიში | 3 | 3 | 6 |
| „ჰეთ-თრიქი" | 0 | 1 | 1 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 127 | 127 | 254 |
| დებიუტანტები | 26 | 21 | 47 |

პირველივე ტურში აღინიშნა „ჰეთ-თრიქი" — მისი ავტორია „გურიას" ფეხბურთელი ოთარ კორღალიძე. ამ მატჩამდე ოთარს ეროვნული ჩემპიონატების უმაღლესი ჯგუფის მატჩებში გატანილი ჰქონდა 98 ბურთი. ამრიგად, იგი პირველი ფეხბურთელია, რომელმაც საქართველოს უმაღლეს ჯგუფში ასი გოლი გაიტანა. ორ-ორი ბურთი გაიტანეს ჯამარაულმა (დინამო), ჯანაშიამ და იონანიძემ (სამტრედია).
პირველი ჯგუფის 47 დებიუტანტიდან ხუთმა გოლით აღნიშნა დებიუტი. „საპოვნელას" შემადგენლობაში მინდორზე გამოსული ცამეტი მოთამაშიდან თერთმეტი დებიუტანტი იყო.
მერაბ მეგრელაძემ (მარგვეთი) მეხუთე ჩემპიონატში პირველმა ვერ გამოიყენა პენალტი.
პირველ ჯგუფში მეასე მატჩი ჩაატარეს კოლხეთი-1913-ის ფეხბურთელებმა მამუკა მაჭავარიანმა და ნუგზარ მიქაბერიძემ.

დასავლეთი. I ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი 1913 | 5 |
| ამირანი | 3 |

ფოთი, ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო

კოლხეთი 1913: დევაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, [illegible]რიანი, ქუნთელია, ცომაია, [illegible]ია (მიქაბერიძე, 46), მახარაძე [illegible]უხია, 76), ჯულელი, დარასელ[illegible]რჩინავა.
ამირანი: [illegible]ლამიძე, ვ. კაკუბავა, [illegible] ჯოჯუა, ჯინორია, ნ. კაკუბ[illegible]ლორდავა, გაბისონია, აფციაური.

1:0 [illegible]ლაშვილი (15)
2:0 დარასელია (20)
3:0 ცომაია (22)
4:0 ქუნთელია (61)
4:1 რ. გუჩუა (65 პ)
4:2 ნ. კაკუბავა (66)
4:3 გაბისონია (75 პ)
5:3 ჯულელი (81)

მსაჯი: ვ. ეუიბია (თბილისი)

| | |
|---|---|
| გურია | 4 |
| ოდიში | 1 |

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი. 8 აგვისტო

გურია: აბუსერიძე (კუნჭულია, 76), პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, გოგოლაძე, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი (დოლბაია, 70), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე.
ოდიში: ჭანტურია (მიქავა, 80), ჯოლოხავა, კვარაცხელია, თუთბერიძე, აბსანძე, გაბედავა, მესხი, გუგუჩია (აბრალავა, 80), დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე.

1:0 კორღალიძე (29 პ)
2:0 ფრიდონაშვილი (35)
3:0 კორღალიძე (60)
3:1 ქაძანაია (63)
4:1 კორღალიძე (81)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

„სარბიელის" წინა ნომერში გამოქვეყნებულ პირველი ტურის ოქმებში გამორჩენილი იყო ორი ფეხბურთელი: „მარგვეთში" მე-4 ნომრით ითამაშა გიგატაძემ, „ცხუმში" — მე-8 ნომრით ანჯაფარიძემ. „მაღაროელის" მოთამაშე იობაშვილი მოვიხსენიეთ იაკობაშვილად.

* რამდენიმე უზუსტობა იყო დაშვებული გუნდების განაცხადებშიც: „დილას" ფეხბურთელი რამაზ სოლოლაშვილი მოხსენიებული იყო სოლლოლაშვილად; ნუგზარ მიქაბერიძეს (კოლხეთი 1913) ჩატარებული აქვს 99 მატჩი, მის თანაგუნდელებს: აკაკი დევაძეს — 90; ბაადურ კაკაჩიას ჩემპიონატებში გოლი არ გაუტანია.

საფრანგეთის ჩემპიონატი

III ტური. 7 აგვისტო. „ლილი" — „ლანი" 0:0.
IV ტური. 11 აგვისტო. „მარტიგი" — „კაენი" 4:1, „კანი" — „ლილი" 2:1, „ლე ავრი" — „სენტ ეტიენი" 0:0, „ლიონი" — „მეცი" 2:0, „პარი სენ ჟერმენი" — „სოშო" 1:0, „მონაკო" — „ბორდო" 3:2, „ნანტი" — „მარსელი" 0:0, „ოსერი" — „ანჟერი" 0:0, „ლანი" — „მონპელიე" 2:1, „ტულუზა" — „სტრასბური" 0:0.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი (5) | 4 | 3 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| კანი (დ) | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| სოშო (16) | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 5 |
| ბორდო (4) | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 5 |
| ლიონი (14) | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 5 |
| პსჟ (2) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| მარტიგი (დ) | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 4 |
| მონაკო (3) | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 4 |
| ოსერი (6) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 4 |
| სტრასბური (8) | 4 | 0 | 4 | 0 | 3-3 | 4 |
| მარსელი (1) | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 4 |
| ლანი (9) | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| სენტ-ეტიენი (7) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 3 |
| მეცი (12) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 3 |
| მონპელიე (10) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 3 |
| ანჟერი (დ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 3 |
| ლე ავრი (15) | 4 | 0 | 3 | 1 | 1-4 | 3 |
| კაენი (11) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 3 |
| ლილი (17) | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| ტულუზა (13) | 4 | 0 | 2 | 2 | 0-6 | 2 |

ფრჩხილებში მოყვანილია გუნდის მიერ წინა ჩემპიონატში დაკავებული ადგილი.
დ — დებიუტანტი

# ფიფას მცურავი სასტუმროებიდა აკლდა

ფიფას დელეგაცია ამ კვირაში სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოს — ყატარის საამიროს ეწვია. სტუმრები ადგილზე ეცნობიან 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აზიის ზონის ფინალური შეჯიბრების გამართვის პირობებს. ტურნირის დაწყება 15 ოქტომბერსაა დათქმული.

შეჯიბრება დიდ ინტერესს იწვევს არა იმდენად სპორტული თვალსაზრისით, რამდენადაც პოლიტიკური ქვეტექსტებით. საქმე ისაა, რომ ექვსი მონაწილიდან მხოლოდ ერთი — იაპონია არ უქმნის ორგანიზატორებს პრობლემებს. დანარჩენი ხუთიდან ორი ერთმანეთზე გადაკიდებული კორეული სახელმწიფოა, სამი კი ბოლო ათწლეულის ორი დიდი სამხედრო კამპანიის მონაწილე: 1980-88 წლებში ირანი ებრძოდა ერაყს, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს კი საუდის არაბეთი ანტიერაყული კოალიციის ერთ-ერთი ბურჯთაგანი იყო.

ორგანიზატორებს უკვე 500 ჟურნალისტისაგან აქვთ მიღებული განაცხადი. ყატარელები 6 ათასი გულშემატკივრის ჩამოსვლასაც ელიან. ამათი უმეტესობა ალბათ იაპონელი იქნება: იქ ხომ ახლა ფეხბურთის ბუმია და ქვეყანაც 2002 წლის მსოფლიო პირველობის დათრევას იმედოვნებს.

პოლიტიკა იქით იყოს და უმდიდრეს ყატარს ამდენი სტუმრის მიღება თურმე ვერ შესძლებია — ქვეყნის სასტუმროებში სულ 1500 ოთახი ყოფილა. მასპინძლებმა პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტა მოიგონეს — გემებს ვიქირავებთ და დროებით მცურავ სასტუმროებად ვაქცევთო, რაზედაც ფიფელები არ დათანხმდნენ — აქაო და ძვირიაო!

# ფეხბურთის რუკასთან

**იაპონიის** საფეხბურთო ლიგამ ოთხი თამაშით დასაჯა „კაშიმა ანტლერსის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ალსინდო. „იოკოჰამა მარინერზთან" მატჩში ალსინდოს თანაგუნდელ ზიკოს მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა. აქაო და ზიკოს რა გაუბედეო და თანაგუნდელის გამნაწყენებელს ალსინდომ ჯერ იყო და ბურთი მიარტყა, მატჩის შემდეგ კი გასახდელშიც შეუვარდა და სულ „ბრაზილიურად" აგინა.

**განის** ნაკრების თავდამსხმელი, 18 წლის ნიი ლემპტი ბელგიის „ანდერლეხტმა" ერთი წლით ჰოლანდიის პსვ-ს ათხოვა. სეზონის ბოლოს, თუ ამას ჰოლანდიელები საჭიროდ ჩათვლიან, პსვ-ს შეეძლება ლემპტის ყიდვა.

**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელს კარლოს ალბერტო პერეირას ცუდადაა აქვს საქმე. გასულ კვირა დღეს მისმა გუნდმა ვერ შეძლო ამხანაგურ მატჩში მექსიკის დამარცხება — 1:1. 15 აგვისტოს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი მატჩის ჩატარება უწევს ურუგვაისთან. დამარცხების შემთხვევაში პერეირა გუნდს დატოვებს — ასეთია ბრაზილიის ფეხბურთის თავკაცთა კატეგორიული განცხადება.



კარლოს ალბერტო პერეირა

**ირლანდიელი** რონი ვილანის სამადლობელი მატჩი შედგა ლივერპულში, სადაც მასპინძლები „ნიუკასლ იუნაიტედს" შეხვდნენ. „ლივერპულმა" 1:0 მოიგო. ეს ბურთი გუნდის დებიუტანტმა ნილ როდაკმა გაიტანა. როდაკმა სიკეთესთან ერთად, ერთი ავი საქმეც ჩაიდინა — ისე შეეჯახა „ნიუკასლის" თავდამსხმელ პიტ ბერდსლის, რომ მას ყვრიმალი გაუტეხა. ბერდსლის, „ლივერპულის" ყოფილ მოთამაშეს, ინგლისის ჩემპიონატის პირველი ექვსი კვირა გაუცდება.

**ავსტრალიისა** და კანადის განმეორებითი მატჩი კვირას სიდნეიში გაიმართება. პირველი შეხვედრა კანადელებსა აქვთ მოგებული 2:1. ხეირიანად მოგების შემთხვევაში ავსტრალიის ნაკრების თითო მოთამაშე 2 500 ამერიკულ დოლარს მიიღებს. ამ გადაწყვეტილების მიღებას 24-საათიანი (!) სხდომა დასჭირდა, რის გამოც ნაკრებს ერთი ვარჯიშიც კი გაუცდა.

**ფიფას** სადისციპლინო კომიტეტმა კარგა გვარიანი თანხა შესძინა ამ ორგანიზაციას სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციათა დაჯარიმებით. ყველაზე დიდი თანხით — 66 ათასი დოლარით დასაჯეს კოლუმბია, რომლის ეროვნულ ნაკრებსაც ორ ამხანაგურ მატჩში მაისურებზე რეკლამა ჰქონდა, ამას კი ფიფა კრძალავს. 13 ათასი დოლარი უნდა გაიღოს ნიგერიის ფედერაციამ, ვინაიდან ლაგოსის სტადიონზე უსაფრთხოება ვერაა სათანადო დონეზე. პორტუგალიის ფედერაცია ფიფამ არაერთხელ გააფრთხილა — პორტუში, „ბესას" სტადიონზე არ ითამაშოთ, საერთაშორისო ნორმებს არ შეესაბამებაო, მაგრამ პორტუგალიელებმა ფიფას რატომღაც წაუყრუეს და ამგვარი საქციელი 8 ათასი დაუჯდათ. ალჟირის ნაკრების ფეხბურთელებმა აყალმაყალი მოაწყვეს ნიგერიისა და სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებებთან შეხვედრებში. ფიფამ ამ ქვეყნის ფედერაციას ჯერჯერობით 6 ათასი დოლარი ჯარიმა აკმარა, თანაც გააფრთხილა — აწიც თუ ასე მოიქცევით, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან საერთოდ მოგხსნითო.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციას საერთოდ ვერ გაურკვევია, როგორ დასაჯოს „ლიდს იუნაიტედ" და „მანჩესტერ იუნაიტედი". ამ გუნდებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ცხრა მოთამაშე „დაუმალეს" ქვეყნის ჭაბუკთა (18 წლამდე) ნაკრებს, რომელმაც ახლახან ტურნე გამართა სკანდინავიაში.


რონი ვილანი

**შვედეთის** ეროვნულმა გუნდმა ოთხშაბათს ამხანაგურ მატჩში შვეიცარიის ნაკრებს უმასპინძლა. თამაშის დასაწყისში მარტინ დალინმა დააწინაურა მასპინძლები, მაგრამ ერთ წუთში ადრიან კნუპმა გაათანაბრა ანგარიში. მატჩის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე სტუმართა მცველმა დომინიკ ჰერმა გამარჯვების გოლი გაიტანა — 2:1 შვეიცარიის სასარგებლოდ.

კომერციული ბანკი
მინაგობანკი
Commercial Bank
MB
MINAGOBANK
სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

თბილისი 18.08 დინამო | 1.09 ბელფასტი ლინფილდი

# თამაშამდე შვიდი დღით ადრე

რედაქციაში გადავწყვიტეთ, რომ 18 აგვისტომდე გაზეთის ყველა ნომერში გამოვაქვეყნოთ ინტერვიუ „დინამოს" მთავარ მწვრთნელთან. ვფიქრობ, ეს ყველასთვის საინტერესო იქნება. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ „ლინფილდამდე".

**— ბატონო გივი, რაიმე ახალი ინფორმაცია ხომ არ მიგიღიათ „ლინფილდზე"?**

— მივიღეთ ცნობა, რომ გუნდი მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა შედეგიანობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონები გახდნენ, სეზონში გატანილი გოლების მიხედვით (49) ცხრილის შუაგულში არიან. მათზე ქვემოთ მდგარ გუნდებს 70-70 გოლი აქვთ გატანილი. სამაგიეროდ მათი კოზირია ძლიერი დაცვა — ამ მხრივ ისინი რეკორდსმენები არიან, მხოლოდ 15 გოლი გაუშვეს.

**— წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ 14 აგვისტოს „ლინფილდთან" მატჩს ბელფასტში „დინამოს" წარმომადგენელი დაესწრებოდა. ხომ ვერ გვეტყვით, ვინ გაემგზავრება ჩრდილოეთ ირლანდიაში და სავარაუდოდ, რა მასალას ჩამოიტანს?**

— თუ ვის აირჩევს კლუბის დირექტორატი, ჩემთვის ჯერ ცნობილი არაა. ჩემი ყურადღება, მოგეხსენებათ, მთლიანად გუნდზეა გადართული. ის კი ვიცი, რომ ჩვენი წარმომადგენელი დაესწრება „ლინფილდის" მატჩს და შემდეგ მათთან ერთად გამოემგზავრება თბილისში მეორე დღეს, 15 აგვისტოს. ჩვენ ჩვენი მხრიდან ჯენტლმენური ჟესტი გავაკეთეთ — ჩვენს კასეტას ვუგზავნით „ლინფილდს". ამ კასეტაზე ჩვენი თასის ფინალია ჩაწერილი „ბათუმთან". თუ „ჩენჯი" შედგა, ვფიქრობ, „ლინფილდის" მატჩის კასეტა დიდ დახმარებას გაგვიწევს.

**— ქინქლაძემ ითამაშა პირველი მატჩი და ბრწყინვალედაც. რა მდგომარეობაში არიან შოთა არველაძე, შელია და სოლოლაშვილი?**

— შოთა არველაძის მიკროტრავმა არ აღმოჩნდა საშიში. იგი უკვე ფორმაშია. შელიაც ითამაშებს „შევარდენთან", რაც შეეხება სოლოლაშვილს, ვფიქრობ, ისიც მალე ჩადგება მწყობრში.

**— „შევარდენთან" მატჩი ბოლო რეპეტიცაა „დინამოსთვის", ზუსტად იგივე ტაქტიკას უნდა ველოდოთ „ლინფილდთან" თუ მაინც არ გახსნით კარტებს?**

— „შევარდენი" ძლიერი სპარინგპარტნიორია. ფედერაციამაც ხელი შეგვიწყო — 20 საათზე დაგვინიშნა მატჩი. თქვენს კითხვაზე კი თავად უპასუხეთ 18 აგვისტოს შემდეგ.

**— „ლინფილდი" ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობს. ჩვენს მეკარეებს მაღალ ბურთებზე გამოსასვლელად სპეციალურ ვარჯიშებს ხომ არ უტარებთ?**

— ეს ვარჯიშები მუდამ ტარდებოდა მეკარეებისთვის, მაგრამ ახლა, ბუნებრივია, ამას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ. მეკარეთა მწვრთნელი იური სტადუხინი ზოიძეს და ჩხეიძეს მიწაზე დაჯდომის საშუალებას არ აძლევს.

**— მინდვრის მოთამაშეები როგორ ემზადებიან?**

— ყოველი ვარჯიშის შემდეგ ბიჭები მინდორზე რჩებიან და ინდივიდუალურად ვარჯიშობენ, ისინი მართლაც თავს არ იზოგავენ და ვფიქრობ, თვრამეტში დაუფასდებათ კიდეც.

მამუკა კვანტალიანი

ინტერვიუ აღებულია 11 აგვისტოს

# ორნი კარში



ნიკა ჩხეიძე



ირაკლი ზოიძე



კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო, უთქვამთ. თუ „დინამოს" მაგალითზე ვიმსჯელებთ, ამ საფეხბურთო ანდაზის მიხედვით მთელ გუნდს ორი კაცი უნდა შეადგენდეს — ირაკლი ზოიძე და ნიკა ჩხეიძე. საინტერესოა, როგორ ეგებებიან ჩრდილოირლანდიელებს ჩვენი გოლკიპერები, მუხლები ხომ არ უკანკალებთ?

— არავითარ შემთხვევაში — ერთხმად მიპასუხეს ირაკლიმაც და ნიკამაც.

**— როგორ ემზადებით 18 აგვისტოსთვის?**

**ნიკა** — როგორც არასდროს, საოცარი მონდომებითა და ძალისხმევით.

**ირაკლი** — ეს თამაში პირველი და ისტორიულია ჩვენთვის, გვინდა ისე კარგად ვითამაშოთ, რომ კარგა ხანს ახსოვდეს ყველას.

**— ამ ორ მატჩში, ალბათ, საჯარიმოში იმდენჯერ ჩამოაწოდებენ მაღალ ბურთს, რამდენიც შარშან მთლიანად მეოთხე ჩემპიონატში ჩამოაწოდეს. რას აპირებთ „მეორე სართულზე""?**

**ნიკა** — მავისთვის სპეციალურ მომზადებას გავდივართ მეც და ირაკლიც.

**ირაკლი** — დარდი ნუ გაქვს, „მეორე სართულზე" ირლანდიელებს არ გავაჭაჭანებთ.

**— აქამდე ოფიციალურ მატჩებში სულ ქართველი თავდამსხმელები გირტყამდნენ კარში, ძნელი ხომ არ იქნება უცხოელ ფორვარდებზე „გადაწყობა"?**

**ნიკა** — რატომ ძნელი, საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში ხომ გადავეწყვეთ ავანსად.

**ირაკლი** — უცხოურმა ტურნეებმა საკმაო გამოცდილება შეგვძინა, ასე თუ ისე, წარმოადგენა გვაქვს იქაურ ფორვარდებზე. რით იქნებიან ჩრდილოირლანდიელები ფრანგებზე ან გერმანელებზე მეტნი?

**— უცხოელებიდან თქვენი კერპები ვინ არიან?**

**ნიკა** — სუბისარეტა.

**ირაკლი** — შმაიხელი

**— საქართველოში შარშან ვინ გაგამწარათ ყველაზე უფრო?**

**ნიკა** — ყიზილაშვილმა და კორლალიძემ.

**ირაკლი** — ჯუღელმა.

**— მეკარეები დიდი ცრუმორწმუნე ხალხი ხართ, მაგრამ მაინც, ხომ არ მეტყოდით 18 აგვისტოს მატჩის პროგნოზს?**

**ნიკა** — არა.

**ირაკლი** — არა.

**— დიდი მადლობა ღრმა და შინაარსიანი პასუხებისთვის. რას ეტყოდით მატჩის წინ ქართველ გულშემატკივარს?**

**ნიკა** — როგორ იქნა გველირსა დიდი ფეხბურთი. ვიცი, რომ ყველას ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ ძალიან ვთხოვ ჩვენს გულშემატკივრებს, მოვიდნენ და მხარში ამოგვიდგნენ.

**ირაკლი** — ჩვენთვის დიდი სტიმული იქნება სავსე სტადიონი, ჩვენ ხომ ეროვნულ სტადიონზე ფაქტიურად ორი-სამი ათასი კაცის წინ ვთამაშობთ მუდამ. თუ ბევრი ხალხი მოვა, ჩათვალეთ, რომ „ლინფილდი" განწირულია.

დასასრულს კი ორივე მეკარემ ერთხმად მიპასუხა, რომ ბელფასტელები მათ ერთ გოლსაც ვერ გაუტანენ.

მამუკა კვარაცხელია

# სიურპრიზი ბელფასტელებისთვის



ფოტოზე გამოსახული პიროვნება კარგა ხანია სპორტულ ფორმაში არ გვინახავს. „დინამოს" პრეზიდენტი თავის უცხოელი კოლეგებივით მუდამ კოსტუმით დაიარება, მაგრამ განა ადვილია, 33 წლის მერაბ ჟორდანიასთვის ოფისის ფანჯრიდან უყუროს, თუ როგორ თამაშობენ მისი უმცროსი კოლეგები ფეხბურთს? სამშაბათს მერაბს მოთმინების ფიალა აევსო, დაავლო ბუცებს და ფორმას ხელი და მინდორზე გაიჭრა. ბედად, დინამოელებს ორმხრივი თამაშისთვის კაცი აკლდათ. ჟორდანია ქინქლაძის გუნდში მოხვდა. სამივე არველაძე, ჯამარაული და შელია მოწინაალმდეგე მხარეს იყვნენ. პოდა, პრეზიდენტმაც პატარა საფეხბურთო გაკვეთილები ჩაუტარა მეტოქეებს და ქინქლაძესთან ისეთი „დუეტი" შექმნა, რომ 5:4 დაამარცხა მრისხანე მეტოქე.

**სხვათა შორის, ჯანი რივერა ერთდროულად „მილანის" მოთამაშეც იყო და პრეზიდენტიც. ვითომ რითი ვართ ქართველები იტალიელებზე ნაკლები?**

# «ლინფილდს» არ ეშინია

## ისე, მაგათ რა შეაშინებს

მატჩის შესახ მორიგი თათბირი უკვე ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა. წინა დღეს საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული ინფორმაციის გამო — „ლინფილდი" შეიძლება არ ჩამოვიდესო — დამსწრე ხალხი შეშფოთებული ჩანდა. ყველა დააწყნარა ინგლისური ფირმა „მეიჯერ ტრეველის" წარმომადგენელმა ნიკა შავიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ წინა ღამით ელაპარაკა ბელფასტსა და ლონდონს და აღმოჩნდა, რომ მათ ამერიკელი დიპლომატის მკვლელობასთან დაკავშირებით არავითარი ჩამოსვლის შიში არ გასჩენიათ. ისე, კაცმა რომ თქვას, ბელფასტელებს რა შეაშინებთ. რაც იქ ტერორისტული აქტები ხდება, ქალაქში ჩასვლის კი არა, მასზე გადაფრენისაც კი უნდა გეშინოდეს. შემდეგ ნოდარ ახალკაცმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ჩამოვლენ თბილისში მატჩის არბიტრი და კომისარი. თურქ მსაჯს ჩვენებმა შესთავაზეს, ჩამოვალთ და მანქანით წამოგიყვანთო, მაგრამ თუროღლუმ სხვა მარშრუტი აირჩია — მიფრინავს ვენაში, იქიდან მოსკოვში, იქ ღამეს გაათევს და დილით 929 რეისით თბილისამდე ჩამოაღწევს. ძნელი გასაგებია, მსაჯი ფრენაზე „გიჟდება", მაინცდამაინც მოსკოვში უნდა ღამის გათენება და თუ სხვა რამ (მგზავრობის ხარჯებს უეფა იხდის), მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ 929 რეისი შეიძლება მატჩის მეორე დღეს ჩამოფრინდეს თბილისში. ამიტომაც, ახალკაცი მოსკოვში აგზავნის წარმომადგენელს, რომელიც „მოგზაურ" მსაჯს ჩვენამდე ჩამოაღწევინებს. ისე, კიდევ კარგი, თუროღლუმ ჯუმბერ ლეჟავას მარშრუტი არ იცის, თორემ... სამაგიეროდ, ბელგიელი კომისარი ფერტონგენი აღმოჩნდა გამჭრიახი. იგი ბელფასტში ჩავა და გუნდთან ერთად მოფრინავს, ასევე უკანა გზაზე. ამდენ ყურადღებას ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებთ, რომ, როგორც გახსოვთ, უეფა კომუნიკაციების გამო არ გვიშვებდა ევროტურნირებში და ამიტომ საჭიროა ყველა დროზე ჩამოვიდეს. რაც შეეხება „ლინფილდის" ჩამოსვლას, „ორბის" თვითმფრინავი კვირას, უთენია მიფრინავს ბელფასტს. უკანა გზაზე, როგორც წინა თათბირზე ითქვა, „ორბი" ირლანდიის „შელბურნს" ტოვებს ლვოვში, სადაც საწვავის შევსებას აპირებდა. ლვოვიდან დეპეშა აფრინეს — გრამი ბენზინი არა გვაქვსო. როგორც ჩემთან საუბარში ვასო ჯამბაზიშვილმა აღნიშნა, ამ შემთხვევაში ლვოვის შემდეგ თვითმფრინავი დამატებით სტავროპოლში დაჯდება.

„მეტეხის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასტუმრო მზადაა სტუმარი გუნდისა და გულშემატკივრების მისაღებად. კოტე გაბაშვილმა „მეტეხსა" და ტურიზმის სამინისტროს სთხოვა, რომ გულშემატკივრებს რაიმე „კულტურული პროგრამა" შეურჩიონ. მართლაც, რომ სწორი აზრია — რაც ნაკლებად შეხვდებიან ერთმანეთს ორი, ბათქა-ბუთქით ცნობილი ქვეყნის წარმომადგენლები, მით უკეთესი.

ამჯერად თათბირს დაზვერვის წარმომადგენელიც ესწრებოდა და თქვა, რომ „მატჩის ჩატარებას ბევრი მტერი ჰყავს."

ბოლოს ქალაქის მერმა გამოთქვა სურვილი, რომ „ჯანდაბას, წავაგოთ, მაგრამ ორი საათი მაინც დავისვენოთ ადამიანურადო". „ისე, რატომ უნდა წავაგოთ?"- იმწუთასვე შეეკამათა თავის თავს. კოტე გაბაშვილს ამაშიც ვეთანხმები.

ზურაბ მეძველია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ლინფილდი»

**ჩრდილოეთ ირლანდია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში 1921 წელს შევიდა, როცა მოსახლეობამ პლებისციტის შედეგად ამაზე თანხმობა განაცხადა. ირლანდიის დანარჩენმა ტერიტორიამ დომინიონის სტატუსი მიიღო, 1949 წელს კი დამოუკიდებელი გახდა და ირლანდიის რესპუბლიკად იწოდა.**

**ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორია 14,1 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 1,6 მილიონი კაცი. ბელფასტი 300 000 მცხოვრებით ოლსტერის ადმინისტრაციული ცენტრია. ირლანდიისგან გამოყოფის შემდეგ ოლსტერელებმა „თან წაილეს" ქვეყნის მთელი საფეხბურთო ისტორია. ამიტომაც ირლანდიის რესპუბლიკის ფეხბურთის ისტორია 1921 წლიდან იწყება, ჩრდილო ირლანდიისა კი — 1880 წლიდან.**

**LINFIELD FOOTBALL AND ATHLETIC CLUB**

დაარსდა 1886

სტადიონი „უინძორ პარკი". 30 000 მაყურებელი

მისამართი: Windsor Park, Donegal Ave, Belfast BT 12 6 LW

ლიგის ჩემპიონი: 1891, 92, 93, 95, 98, 1902, 04, 07, 08, 09, 11, 14, 22, 23, 30, 32, 34, 35, 49, 50, 54, 55, 56, 59, 61, 62, 66, 69, 71, 75, 78, 79, 80, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 93 (41-ჯერ)

თასის მფლობელი: 1891, 92, 93, 95, 98, 99, 1902, 04, 12, 13, 15, 16, 19, 22, 23, 30, 31, 34, 36, 39, 42, 45, 46, 48, 50, 53, 60, 62, 63, 70, 78, 80, 82 (33)

ლინფილდ ფუტბოლ ენდ ათლეტიკ კლაბ — ასეთია სრული სახელი საფეხბურთო კლუბისა, რომლის შტაბ-ბინაცა და სტადიონიც ბელფასტში, ქვემო უინძორისა და დონეგალ ავენიუს ბოლოში, „უინძორ პარკად" წოდებულ ადგილზე მდებარეობს. ჩრდილო ირლანდიაში ეს 107 წლის კლუბი ბევრს უყვარს. ყოფილა შემთხვევები,



1903-04 წლების „ლინფილდი"

როდესაც ამა თუ იმ გულშემატკივრის ფერფლი, მისივე ანდერძის თანახმად, „უინძორ პარკის" მოედანზე მოუპნევიათ. იმავდროულად იმასაც ამბობენ, „ლინფილდის" ძველი მეტოქეების გულშემატკივარს ეს გუნდი სძულსო. ლურჯების (ლურჯი მაისურა, თეთრი ტრუსი — გუნდის ტრადიციული ფორმაა) კრიტიკის ერთ-ერთი უძველესი მიზეზი, მათი თავგადაკლული პროტესტანტობა გახლავთ. ათასჯერ უსაყვედურიათ მათთვის, კათოლიკეებს გუნდში არ იკარებთო, რაზეც ლინფილდელთა ტრადიციული პასუხი ასეთია, კლუბის წესდებაში ერთი სიტყვაც არ წერია ისეთი, ფეხბურთელებს რელიგიური ნიშნით რომ ანსხვავებდესო და ბრალდების გასაბათილებლად მოჰყავთ წლების მანძილზე მათ რიგებში მოთამაშე ცალკეული კათოლიკეების გვარები. „ჩვენთვის სულერთია ვინ გაიმარჯვებს, ოღონდაც „ლინფილდმა" წააგოს" — ჯიუტად გაიძახიან მოწინააღმდეგენი.

## საამქროს უკან, მდელოზე

კაცს უნებურად ძველი კინოფირის გმირების აჩქარებული სიარული დაგესახება თვალწინ, როდესაც წარმოიდგენ, თუ როგორ მიუძღვება 1885 წლის მიწურულს (ზუსტი თარიღი უცნობია), სართავი ფაბრიკის „ალსტერ სპინინგ კომპანის" მოხელე ბობ მაკკლარგი მევაობრებს ჯონ ტორენსს, სემ რეინს, პაფ გორდონ უფროსს, სემ რის და პარი მაკლეინს დირექტორატისკენ, რათა ფაბრიკაში ფეხბურთის გუნდის ჩამოყალიბების ნებართვა ითხოვოს. ენთუზიასტებს საამქროს შენობის უკანა მდელოსთვის უკვე დაუდგამთ თვალი. ასეთი, ან დაახლოებით ასეთი ისტორია მრავალ მწერალს აქვს აღწერილი, ოღონდ ჩვენს შემთხვევაში თითქოს ჟანრის კანონი დაირღვაო, ახალგაზრდათა ჯგუფს ავი მეპატრონის ნაცვლად კეთილგანწყობილი ხალხი დახვდა და იდეა არათუ მოუწონა, პირველი კრების ჩასატარებლად სასადილოც კი გამოუყო. 1886 წლის მარტში „ლინფილდ ათლეტიკ კლაბი" ოფიციალურად დაარსდა. თავდაპირველად სურდათ კლუბის წევრად მხოლოდ ფაბრიკის თანამშრომლები მიეღოთ, მაგრამ თავადვე მალე მიხვდნენ, რომ ეს აზრი განწირული იყო. უახლოეს ხანში ექვსი უცხოს მიღება მოუხდათ, იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი მათ რიგებს აძლიერებდნენ. აირჩიეს პირველი კომიტეტიც, რომელიც ფაბრიკის რვა ზედამხედველისგან შედგებოდა. 86-ის ზაფხულში, მოთამაშეები სადილისთვის გამოყოფილ შესვენებებზეც კი ვარჯიშობდნენ. ახლოვდებოდა პირველი თამაში. ყველას სურდა მასში მონაწილეობის მიღება. და აი, „ლინფილდი" — „დისტილერი" 6:5. პირველ ხანებში საქმე კარგად აეწყო. საამქროს უკანა მდელოზე თითო-ოროლა გუნდმა თუ მოახერხა მასპინძელთა დამარცხება. იმავე წლებში დაიწყო პირველი ლინფი-



1982 წლის 9 აპრილი. „უინძორ პარკი" ხანძრის შემდეგ

ლდელების გადასვლა ინგლისის კლუბებში. გუნდის ვარსკვლავი ნიკ როსი „ევერტონში" გადავიდა, სადაც მას 10 გირვანქა სტერლინგს უხდიდნენ, მაშინ როდესაც დანარჩენების ანაზღაურება ერთი, უკეთეს შემთხვევაში კი ერთნახევარი გირვანქა სტერლინგი იყო. 1890 წელს დაარსდა ირლანდიის ლიგა, რომლის პირველ სამ გათამაშებაშიც „ლინფილდმა" გაიმარჯვა. გუნდი აგრეთვე მონაწილეობდა ირლანდიის თასის, ინგლისის თასის და სხვა გათამაშებებში.

## „უინძორ პარკი"

1904 წელს, ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ ერთი სტადიონიდან მეორეზე გაუთავებელი წანწალი აღარ შეიძლებოდა, გუნდს საკუთარი „კედლები" სჭირდებოდა. კომიტეტის წევრმა არტურ მაკდერმოტმა ყური მოკრა, რომ იყიდებოდა ფართობი. პირველ აგვისტოს საგანგებო კომისია მივიდა ადგილის ხანახავად და ერთის ნახვით შეუყვარდა იგი. მიწის პატრონი საოცრად ჩქარა დაყაბულდა მყიდველთ და ზუსტად ორი თვის შემდეგ კლუბის კომიტეტის თავმჯდომარემ დევიდ ფოიმ ხელი მოაწერა საბუთს, რომელიც დღემდე ინახება ბელფასტის ბანკში. იმხანად, იმ მიდამოებში სულ ათი სახლი იდგა. 1905 წლის 2 სექტემბერს „უინძორ პარკში" გაიმართა პირველი მატჩი. „ლინფილდმა" სძლია „გლენტორანს" 1:0. ერთი წლის შემდეგ ფართობი შემოღობეს და გასახდელები ააგეს. 1909 წელს ააშენეს მთავარი ტრიბუნა, რომელიც ორი წლის შემდეგ გადახურეს კიდეც. 1920 წელს იქვე მდებარე რკინიგზის სადგურიდან სტადიონამდე მისასვლელი ხიდი გადეს, რომელიც დღესაც არსებობს. 1929 წელს ახალი ტრიბუნა და გასახდელები წამომართეს. ამ საქმიანობაზე ათი ათასი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა, რაც იმ დროისთვის გასაოგნებელი თანხა იყო. 1931 წლის 15 დეკემბერს საგულისხმო ამბავი მოხდა. კლუბის წევრებმა ერთხმად უარყვეს მავანთა სარფიანი წინადადება „უინძორ პარკში" მწევართა შეჯიბრების გამართვის შესახებ. კლუბის ალშფოთებას შეუერთდნენ ადგილობრივი სამღვდელოების წარმომადგენლებიც. ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდა — „უინძორ პარკი" არის პატიოსანი, უანგარო შეჯიბრებების ადგილი და იქ არ გაჩაღდება ისეთი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ნიძლავთან თუ სხვა ფორმით აზარტულად ფულის ტრიალთან.

კლუბის და სტადიონის ისტორიაში იყო ასეთი პიროვნება — ბილი კემპბელი, რომელიც 1915 წლის 21 მაისიდან მოყოლებული 33 წლის მანძილზე მინდვრის მომვლელი და იმავდროულად მწვრთნელი იყო. იგი ფიზიკური მომზადების საკითხში საუკეთესო მრჩეველი გახლდათ. მასთან ფეხბურთელების გარდა მოდიოდნენ მოკრივეებიც. იგი საუცხოოდ ამზადებდა მოედანს. სამზადისს მატჩამდე ორი დღით ადრე იწყებდა და მისთვის კარგად ნაცნობი ბალახის თითოეულ ღერს საფუძვლიანად დალოლიავებდა. კარის ხაზს უკან წითელი აგურის მტვრის დაყრა, რომელიც მერე მთელმა ინგლისმა გადაიღო, სწორედ კემპბელის იდეა იყო. იმხანად „უინძორ პარკი" უკვე 60 000 მაყურებელს იტევდა. მეორე მსოფლიო ომის დროს სტადიონის განვითარება შეჩერდა. 1954 წელს კი დიდებული გეგმა ჩაიშალა. კლუბის მესვეურთ ტევადობის 81 ათასამდე გაზრდა სურდათ. 56-ში ახალი განათება დაამონტაჟეს. ნელ-ნელა ამატებდნენ პრეს-ლოჟას, ტელეკამერის ბაქანს. 1982 წლის 9 აპრილს, მას მერე, რაც ლურჯებმა „გლენტორანი" დაამარცხეს, როგორც ჩანს, სიგარეტის ნამწვავმა ერთ-ერთი ისტორიული ტრიბუნა ცეცხლში გაახვია. სახანძრო რაზმთან ერთად თავად გულშემატკივრები დარბოდნენ ცეცხლის საწინააღმდეგო ბალონებით, მაგრამ... სამი წლის თავზე იმ ადგილას, ორ მილიონ გირვანქად, ახალი ტრიბუნა წამოჭიმეს (თანხის ნახევარი მთავრობამ გადაიხადა). განახლებული სტადიონი თვით ჟოაო აველანჟმა გახსნა.

## 7-40-7

„ლინფილდის" ისტორიაში ოქროს ხანად ითვლება 1921-22 და 1961-62 წლების სეზონები. ამ ორ თარიღს შორის ორმოცი წელია. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში გუნდმა 7-7 პრიზი მოიგო. 1921-22 წლებში: ალჰამბრას თასი, ირლანდიის ჩემპიონის წოდება, ირლანდიის თასი, ქალაქის თასი, ოქროს თასი, ჩერითი (საქველმოქმედო) თასი და „ქაუნთი ენთრიმ შილდის" შეჯიბრება. 1961-62 წლებში: ირლანდიის ჩემპიონის წოდება, ირლანდიის თასი, ოქროს თასი, ქალაქის თასი, „ქაუნთი ენთრიმ შილდის" შეჯიბრება, ოლსტერის თასი, ჩრდილოეთის და სამხრეთის თასი. ბომბარდირი, რომელმაც სამოციანი წლების გუნდთან ერთად შვიდივე პრიზი მოიპოვა, გახლდათ ჰიუბერტ ბარი, 61-62 წლების სეზონში 51 გოლის ავტორი.

## სანამ ომი დაიწყებოდა

ოცდაათიანი წლები დიდი დეპრესიის სახელით არის შესული დასავლეთ სამყაროს ისტორიაში. ცუდ დღეში ჩავარდა ჩრდილოეთ ირლანდიაც. „ლინფილდის" მეტოქეები სტუმართათვის განკუთვნილ წილს ველარ იხდიდნენ. საქმეს კლუბის დაჟინებული პროტესტებიც ველარ შველოდა. ფეხბურთელთა ხელფასები ფასებს ველარ აუდიოდა. ზოგმა მოთამაშემ ინგლისის ლიგაში გაასწრო, ამან კი „ლინფილდი" უარეს დღეში ჩააგდო. 1937 წლის 5 მაისს „კლიფტონვილთან" მატჩმა მხოლოდ 45 გირვანქა შემოიტანა. ამ შეხვედრის შემდეგ გუნდის 13-მა წევრმა უარი განაცხადა საქველმოქმედო თასზე გამოსვლაზე. ატყდა აურზაური. ეს „ლინფილდის" ტრადიციულ სულისკვეთებას არ შეეფერებაო, უკიჟინებდნენ ერთნი. ჩვენც გაგვიგეთ, ადამიანები ვართ და ცოლ-შვილი შესანახი გვყავსო, არ თმობდნენ ფეხბურთელები. საბოლოოდ საკითხი კი მოგვარდ[illegible], მაგრამ კლუბს ახალი უბედურება დაატყდა თავს, 19 ოქტომბერს გარდაიცვალა ჯონ უორვიკი — პრეზიდენტი 37 წლის მანძილზე. დეპრესია დეპრესიად, მაგრამ 30-იანი წლების მიწურულს უინძორელ ტყუპებად წოდებულმა „ლინფილდის"



ტომი დიქსონი

„მამებმა", ჯო მაკიმ და გერი მორგანმა ისევ წამოსწიეს გუნდი. მათ დააბრუნეს ირლანდიის გარეთ მოთამაშე თანამემამულეები, მოიწვიეს უცხოელებიც და რაც ყველაზე საინტერესოა, ჩაატარეს „საიდუმლო" ოპერაცია, იმ ხანის ფეხბურთის ვუნდერკინდის, „სტოკ სიტის" და ინგლისის ნაკრების მოთამაშის სტენლი [illegible] საბირებლად. „ტყუპ[illegible]" [illegible] ფულზე უკან არ [illegible] მეტიუზი ორი კვირით [illegible] ჩაიყვანეს ბელფასტში, მაგრამ [illegible] ვერ აჯობეს „მძიმეწონოსან" მოცილეებს. 1941 წლის 5 მაისს მესამე რაიხის ავიაციამ ქალაქი დაბომბა. „გლენტორანი" სტადიონის გარეშე დარჩა, მაგრამ მიუხედავად „ლინფილდის" პატივისა, უგანა ძველ „მტერს" და სხვა გუნდს შეეკედლა.

## ორი უდიდესი აყალმაყალი

აყალმაყალი ყველა გუნდის ისტორიაში ხდება. გამონაკლისი არც „ლინფილდია". 1948 წლის შობა[illegible] დაემთხვა „უბოროტეს მტერთან" ბელფასტის „სელტიკთან" მატჩი, რის გამოც იგი ორშაბათს გადაიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უინძორ პარკიდან



1961-62 წლების „ლინფილდი", რომელმაც ირლანდიის შვიდივე ჯილდო მოიპოვა

მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1, თუმცა მთავარი ეს არ იყო. მატჩის 35-ე წუთზე ლინფილდელი ბობ ბრაისონი შეეჯახა სელტიკელ ჯიმი ჯონსს. ბრაისონმა ფეხი იტკინა. ვიღაცამ ტრიბუნაზე ხმა დააგდო, ჩვენს ბობის კოჭი მოსტეხესო. ცოტა ხნის მერე წააქციეს მეორე ლინფელდელი რასელი. 75-ე წუთზე მუჯლუგუნების კვრა და წითელი ბარათების ტრიალი ატყდა. მაყურებელთა ერთმა ჯგუფმა ცოტაც მოითმინა და როგორც კი ლურჯებმა მატჩის მინურულს ანგარიში გაქვითეს, მოედანზე გადმოხტა. საქმეში პოლიციელთა ხელჯოხები ჩაერია. გაავებულნი პირველი ინციდენტის მონაწილეს ჯონსს გამოუდგნენ და ისე ატკინეს ფეხი, რომ იგი საბოლოოდ დაკოჭლდა. „ლინფილდმა" იმავე დღეს გამოაცხო ბოდიშის წერილი, მაგრამ ჯონსის საჩივარს და 4361 გირვანქით დაჯარიმებას ვერ აცდა.

მეორე ინციდენტი 1979 წლის 29 აგვისტოს დანდალკის „ორიელ პარკში" მოხდა. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს" ირლანდიის ქალაქ დანდალკში მოუხდა გამგზავრება. ბელფასტელებს თან 5 000 გულშემატკივარი გაჰყვა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა წინასწარ ცნობილია, რომ ცხვირპირის მტვრევა გარდაუვალია. ატყდა „ომი" ჯერ პოლიციასთან, შემდეგ კი დანდალკელებთან. ჩრდილოეთელებმა ირლანდიელთა სამფეროვანი დროშა ჩამოხსნეს და დასწვეს, სამხრეთელებმა კი „იუნიონ ჯეკად" წოდებული დიდი ბრიტანეთის დროშა აქციეს ნაკუწებად.

## ევროტურნირებზე

„ლინფილდი" ევროტურნირებზე 1959 წელს გამოჩნდა. პირველი მეტოქე ჩემპიონთა თასზე,- იყო შვედეთის „კამრატერნა". პირველ მატჩში ბელფასტელებმა მოიგეს 2:1. ამ მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა გუნდის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ჯეკ მილბერნმა. ლინფილდელთა აზრით, ამ შეხვედრაში დასავლეთგერმანელმა მსაჯმა მალკემ მათ სასარგებლოდ ორი პენალტი არ დანიშნა, მეტოქეს კი საეჭვო თერთმეტმეტრიანიდან გაატანინა გოლი. მეორე თამაშში შვედებმა გაიმარჯვეს 6:1. იმ მატჩში ავადმყოფ მილბერნს არ უნდა ეთამაშა — თვლიან ჩრდილოირლანდიელი მიმომხილველები. თანაგუნდელები მის იმედად იყვნენ, ის კი ნემსებით და დასხივებებით ისედაც დატანჯული, მოედანზე ტკივილისგან უარესად იტანჯებოდაო. შემდეგ წელიწადს წილისყრამ ისინი გდრ-ს „ფორვეტსთან" დააწყვილა. ბერლინის ცნობილი კედელი რამდენიმე დღის აშენებული გახლდათ. „ლინფილდს" აღმოსავლეთ სექტორში ფეხით მოუწია გადასვლა. ფეხბურთელებს ყოველ ნაბიჯზე პოლიციელები სდევდნენ თან და ნაყინის ჭამასაც კი უკონტროლებდნენ. სტუმარ ჟურნალისტებს ჯაშუში მთარგმნელი უთვალთვალებდა, აბა ვნახოთ რას გადასცემენ კაპიტალისტურ სამშობლოშიო. „ლინფილდმა" წააგო 0:3. თამაშის შემდეგ, ბანკეტზე, სადაც სოციალისტი მასპინძლები ხალხთა შორის მეგობრობის სადღეგრძელოებს სვამდნენ, გამოითქვა ეჭვი, გაუშვებდა თუ არა გდრ-ს მთავრობა თავის გუნდს საპასუხო მატჩზე. როგორც გაირკვა, არ გაუშვებდა. უცნობია, აღმოსავლეთ გერმანელებს მაინცდამაინც ბელფასტის ჯინი სჭირდათ თუ რა იყო, დაიწყო მოლაპარაკება ნეიტრალური მინდვრის მოსაძებნად. აქ უკვე „ლინფილდმა" თქვა უარი ფინანსური სიდუხჭირის გამო. ამისთვის იგი შემდეგ ეტაპზე აღარ გაუშვეს. ატყდა ჩივილი. უეფა „ლინფილდს" ფულად კომპენსაციას შეჰპირდა. პროტესტების წერასა და დაპირებებში გავიდა ექვსი წელი. ექვსი წლის შემდეგ კი... შესაძლებელი გახდა იმ არშემდგარი შეხვედრის ჩატარება. ბუნებრივია ახლა იგი აღარავის სჭირდებოდა და ბელფასტის გუნდი კომპენსაციის სახით გადახდილ 1100 გირვანქას დასჯერდა.

კიდევ ერთი კურიოზული შემთხვევა მოხდა 1963 წელს თასების თასზე სტამბოლში, „ფენერბაჰჩესთან" მატჩის წინ. სტადიონის თავზე ბრიტანული „იუნიონ ჯეკის" ნაცვლად აფრიალდა ირლანდიის სამფეროვანი დროშა. თურმე ნუ



1983 წელი. „ოქროს თასის" მოგების შემდეგ

იტყვით, თურქებს არ მოსწონებიათ ბრიტანეთის საელჩოსთვის გამორთმეული დროშის ხარისხი და ახალი დროშის სამოვნელად თავად დაფაცურებულან. რას იზამ, არცოდნა არცოდვაა და ჩრდილოირლანდიელებმაც აღარ იჩივლეს. მატჩი მოიგო „ფენერბაჰჩემ" 4:1. საპასუხო, მეტისმეტად უხეში თამაში, „ლინფილდმა" მოიგო 2:0, მაგრამ შეჯიბრებას გამოეთიშა.

ევროთასებზე „ლინფილდმა" ყველაზე დიდ წარმატებას 1966-67 წლების სეზონში მიაღწია, როდესაც მეოთხედფინალამდე გავიდა, იქ კი წააგო სოფიის ცსკა-სთან. სოფიისკენ მგზავრობის დროს, იუგოსლავიის ცის ქვეშ, თვითმფრინავს, რომელშიც გუნდი იჯდა, მეხი დაეცა. იძულებული შეიქნენ სარემონტოდ ბელგრადში დაფრენილიყვნენ. ვინ იცის, მეხის გამო ნაჭამი შიში რომ არა, იქნებ არც წაეგოთ ის მატჩი და გუნდის საუკეთესო მიღწევა დღეს ნახევარფინალი ყოფილიყო.

## ოთხი საუკეთესო

კლუბის ისტორიაში გამოჰყოფენ ყველა დროის ოთხ საუკეთესო მოთამაშეს. ესენი არიან:

**ბობ მილნი.** ნახევარმცველი. წარმოშობით შოტლანდიელი. თამაშობდა 1892-1906 წლებში. 27 მატჩი ირლანდიის (მაშინ ქვეყანა ერთიანი იყო) ნაკრებში, ქვეყნის თასის 9 გზის მფლობელი.

**ჯო ბემბრიკი.** თავდამსხმელი. 1930 წელს უელსის ნაკრების კარში ერთ მატჩში გაიტანა 6 გოლი, რაც დღემდე რეკორდია.

**ჯეკი მილბერნი.** თავდამსხმელი. შემდგომში „ნიუკასლ იუნაიტედის" მოთამაშე. ნიუკასლში 354 მატჩში გაიტანა 179 გოლი. „ლინფილდის" შემადგენლობაში 9 ჯილდოს მფლობელი. ორგზის საუკეთესო ბომბარდირი. 1957-58 წლებში გაიტანა 55 გოლი, 1958-59 წლებში — 56. 1957-58 წლების სეზონის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი.

**ტომი დიქსონი.** თავდამსხმელი. 1962 წელს „ლინფილდთან" ერთად 7 ჯილდოს მფლობელი. სახელი მოიხვეჭა არა მხოლოდ როგორც ბომბარდირმა, არამედ, როგორც პატიოსანმა, პრინციპულმა ადამიანმა.

## სხვა და სხვა

„ლინფილდი" ცნობილია იმით, რომ 1882 წლიდან მოყოლებული წარამარა იგებს ქვეყნის თასს. ამ შეჯიბრებაში მისი ძველი მეტოქეები არიან ბელფასტის „სელტიკი", „გლენტორანი", „დერი სიტი".

„ლინფილდი" დაარსების დღიდან ჰყიდის ფეხბურთელებს. იგი მოთამაშეს ადებს ფასს და აღარ ვაჭრობს. ეს კლუბის ტრადიციაა და მას სიდუხჭირის წლებშიც არ უხვევს.

„ლინფილდს" ჰყავს მეორე გუნდი, „სვიფტი". ამ გუნდში ახალგაზრდა მოთამაშეებს სალინფილდოდ ამზადებენ.

„ლინფილდს" ჰყავს 57 რეგისტრირებული გულშემატკივართა კლუბი.

ბრიტანული წყაროების მიხედვით
მოამზადა ილია ბაბუნაშვილმა



1984 წელი. „ლინფილდი" — „პანათინაიკოსი" 3:3. მატჩის მომენტი

AUDACES FORTUNA JUVAT
L.F.C.

### ირლანდიის ლიგის ჩემპიონები

| | |
|---|---|
| 1891 | „ლინფილდი" |
| 1892 | „ლინფილდი" |
| 1893 | „ლინფილდი" |
| 1894 | „გლენტორანი" |
| 1895 | „ლინფილდი" |
| 1896 | „დისტილერი" |
| 1897 | „გლენტორანი" |
| 1898 | „ლინფილდი" |
| 1899 | „დისტილერი" |
| 1900 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1901 | „დისტილერი" |
| 1902 | „ლინფილდი" |
| 1903 | „დისტილერი" |
| 1904 | „ლინფილდი" |
| 1905 | „გლენტორანი" |
| 1906 | „კლიფტონვილი" |
| 1907 | „ლინფილდი" |
| 1908 | „ლინფილდი" |
| 1909 | „ლინფილდი" |
| 1910 | „კლიფტონვილი" |
| 1911 | „ლინფილდი" |
| 1912 | „გლენტორანი" |
| 1913 | „გლენტორანი" |
| 1914 | „ლინფილდი" |
| 1915 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1920 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1921 | „გლენტორანი" |
| 1922 | „ლინფილდი" |
| 1923 | „ლინფილდი" |
| 1924 | „ქუინს აილენდი" |
| 1925 | „გლენტორანი" |
| 1926 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1927 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1928 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1929 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1930 | „ლინფილდი" |
| 1931 | „გლენტორანი" |
| 1932 | „ლინფილდი" |
| 1933 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1934 | „ლინფილდი" |
| 1935 | „ლინფილდი" |
| 1936 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1937 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1938 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1939 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1940 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1948 | „ბელფასტ სელტიკი" |
| 1949 | „ლინფილდი" |
| 1950 | „ლინფილდი" |
| 1951 | „გლენტორანი" |
| 1952 | „გლენავონი" |
| 1953 | „გლენტორანი" |
| 1954 | „ლინფილდი" |
| 1955 | ლინფილდი" |
| 1956 | „ლინფილდი" |
| 1957 | „გლენავონი" |
| 1958 | „არდსი" |
| 1959 | „ლინფილდი" |
| 1960 | „გლენავონი" |
| 1961 | „ლინფილდი" |
| 1962 | „ლინფილდი" |
| 1963 | „დისტილერი" |
| 1964 | „გლენტორანი" |
| 1965 | „დერი სიტი" |
| 1966 | „ლინფილდი" |
| 1967 | „გლენტორანი" |
| 1968 | „გლენტორანი" |
| 1969 | „ლინფილდი" |
| 1970 | „გლენტორანი" |
| 1971 | „ლინფილდი" |
| 1972 | „გლენტორანი" |
| 1973 | „კრუზეიდერსი" |
| 1974 | „კოლრეინი" |
| 1975 | „ლინფილდი" |
| 1976 | „კრუზეიდერსი" |
| 1977 | „გლენტორანი" |
| 1978 | „ლინფილდი" |
| 1979 | „ლინფილდი" |
| 1980 | „ლინფილდი" |
| 1981 | „გლენტორანი" |
| 1982 | „ლინფილდი" |
| 1983 | „ლინფილდი" |
| 1984 | „ლინფილდი" |
| 1985 | „ლინფილდი" |
| 1986 | „ლინფილდი" |
| 1987 | „ლინფილდი" |
| 1988 | „გლენტორანი" |
| 1989 | „ლინფილდი" |
| 1990 | „პორტადაუნი" |
| 1991 | „პორტადაუნი" |
| 1992 | „გლენტორანი" |
| 1993 | „ლინფილდი" |

### 1992-93 სეზონის შედეგები

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ლინფილდი | 20 | 6 | 4 | 49-15 | 66 |
| კრუზეიდერსი | 21 | 3 | 6 | 53-27 | 66 |
| ბანგორი | 20 | 4 | 6 | 61-32 | 64 |
| პორტადაუნი | 18 | 9 | 3 | 70-26 | 63 |
| დისტილერი | 20 | 2 | 8 | 61-36 | 62 |
| გლენტორანი | 13 | 8 | 9 | 70-40 | 47 |
| გლენავონი | 13 | 7 | 10 | 45-36 | 46 |
| არდსი | 12 | 9 | 9 | 45-45 | 45 |
| კარიკ რეინჯერსი | 12 | 3 | 15 | 50-70 | 39 |
| ბალიმენა იუნაიტ. | 10 | 6 | 14 | 41-51 | 36 |
| კლიფტონვილი | 10 | 3 | 17 | 42-48 | 33 |
| ომაგ თაუნი | 9 | 5 | 16 | 38-57 | 32 |
| ლარნი | 9 | 3 | 18 | 41-59 | 30 |
| ნიური თაუნი | 5 | 5 | 20 | 30-72 | 20 |
| კოლრეინი | 5 | 3 | 22 | 28-63 | 18 |
| ბალიკლარი | 2 | 6 | 22 | 28-75 | 12 |

„ლინფილდის" ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: ვესლი ლამონტი, ალან დორნანი, ჯონ ისტონი, ჯონ მაკკონელი, ალან კემპბელი, ლი დოჰერტი, სტეფენ ბიტი, მარტინ მაკგაფი, ნოელ ბეილი, გორმენი, გლენ პანტერი. მწვრთნელი — ანდერსონი

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

1983 — ჰელსინკი
1987 — რომი
1991 — ტოკიო

| | | | |
|---|---|---|---|
| რბენა. 100 მ | | | |
| 1983 | კარლ ლუისი | აშშ | 10,07 |
| 1987 | ბენ ჯონსონი | კანადა | 9,83 * |
| 1991 | კარლ ლუისი | აშშ | 9,86 * |
| 200 მ | | | |
| 1983 | კელვინ სმიტი | აშშ | 20,14 |
| 1987 | კელვინ სმიტი | აშშ | 20,16 |
| 1991 | მაიკ ჯონსონი | აშშ | 20,01 |
| 400 მ | | | |
| 1983 | ბერტ კამერონი | იამაიკა | 45,05 |
| 1987 | თომას შონლიბე | გდრ | 44,33 |
| 1991 | ანტონი პეტიგრიუ | აშშ | 44,57 |
| 800 მ | | | |
| 1983 | მათს ვიულბეკი | გფრ | 1.43,65 |
| 1987 | ბილ კონჩელა | კენია | 1.43,06 |
| 1991 | ბილ კონჩელა | კენია | 1.43,99 |
| 1 500 მ | | | |
| 1983 | სტივ კრემი | ბრიტანეთი | 3.41,58 |
| 1987 | აბდი ბილე | სომალი | 3.36,80 |
| 1991 | ნურადინ მორსელი | ალჟირი | 3.32,84 |
| 5 000 მ | | | |
| 1983 | იმონ კოგლენი | ირლანდია | 13.28,53 |
| 1987 | საიდ აუიტა | მაროკო | 13.26,44 |
| 1991 | იობეს ონდიეკი | კენია | 13.14,45 |
| 10 000 მ | | | |
| 1983 | ალბერტო კოვა | იტალია | 28.01,04 |
| 1987 | პოლ კიპკოეჩი | კენია | 27.38,63 |
| 1991 | მოზეს ტანუი | კენია | 27.38,74 |
| მარათონი | | | |
| 1983 | რობერტ დე კასტელა | ავსტრალია | 2:10.03, |
| 1987 | დუგლას ვაკიჰური | კენია | 2:11.48, |
| 1991 | ხიროში ტანიგუჩი | იაპონია | 2:14.57, |
| 4X100 მ ამანათრბენი | | | |
| 1983 | აშშ | | 37,86 * |
| | კინგი, პოლტი, სმიტი, ლუისი | | |
| 1987 | აშშ | | 37,90 |
| | მაკკრეი, მაკნილი, გლანსი, ლუისი | | |
| 1991 | აშშ | | 37.50 * |
| | კეისონი, ბარელი, მიტჩელი, ლუისი | | |
| 4 X 400 მ | | | |
| 1983 | სსრკ | | 3.00,79 |
| | ლოვაჩევი, ტროშჩილო, ჩერნეცკი, მარკინი | | |
| 1987 | აშშ | | 2.57,29 |
| | ევერეტი, პეილი, მაკკი, რეინოლდსი | | |
| 1991 | დიდი ბრიტანეთი | | 2.57,53 |
| | ბლეკი, რედმონდი, რიჯისი, აკაბუსი | | |
| 110 მ თარჯრბენი | | | |
| 1983 | გრეგ ფოსტერი | აშშ | 13,42 |
| 1987 | გრეგ ფოსტერი | აშშ | 13,21 |
| 1991 | გრეგ ფოსტერი | აშშ | 13,06 |
| 400 მ თარჯრბენი | | | |
| 1983 | ედვინ მოზესი | აშშ | 47,75 |
| 1987 | ედვინ მოზესი | აშშ | 47,46 |
| 1991 | სამუელ მატეტე | ზამბია | 47,64 |
| 3 000 მ წინაღობებით | | | |
| 1983 | პეტერ ილგი | გფრ | 8.15,06 |
| 1987 | ფრანჩესკო პანეტა | იტალია | 8.08,57 |
| 1991 | მოზეს კიპტანუი | კენია | 8.12,59 |
| სიარული. 20 კმ | | | |
| 1983 | ერნესტო კანტო | მექსიკა | 1:20.49, |
| 1987 | მაურიციო დამილანო | იტალია | 1:20.45, |
| 1991 | მაურიციო დამილანო | იტალია | 1:19.37, |
| 50 კმ | | | |
| 1983 | როლანდ ვაიგელი | გდრ | 3:43.08, |
| 1987 | ჰანს გაუდერი | გდრ | 3:40.53, |
| 1991 | ალექსანდრ პოტაშოვი | სსრკ | 3:53.09, |
| სიგრძეზე ხტომა | | | |
| 1983 | კარლ ლუისი | აშშ | 8 55 |
| 1987 | კარლ ლუისი | აშშ | 8 67 |
| 1991 | მაიკ პაუელი | აშშ | 8 95 * |
| სიმაღლეზე ხტომა | | | |
| 1983 | გენადი ავდეენკო | სსრკ | 2 32 |
| 1987 | პატრიკ შიობერგი | შვედეთი | 2 38 |
| 1991 | ჩარლზ ოსტინი | აშშ | 2 38 |
| სამხტომი | | | |
| 1983 | ზდენეკ ჰოფმანი | პოლონეთი | 17 42 |
| 1987 | ხრისტო მარკოვი | ბულგარეთი | 17 92 |
| 1991 | კენ ჰარისონი | აშშ | 17 78 |
| ჭოკით ხტომა | | | |
| 1983 | სერგეი ბუბკა | სსრკ | 5 70 |
| 1987 | სერგეი ბუბკა | სსრკ | 5 85 |
| 1991 | სერგეი ბუბკა | სსრკ | 5 95 |
| ბირთვის კვრა | | | |
| 1983 | ეჟი სარული | პოლონეთი | 21 39 |
| 1987 | ვერნერ გიუნტორი | შვეიცარია | 22 23 |
| 1991 | ვერნერ გიუნტორი | შვეიცარია | 21 67 |
| ბადროს ტყორცნა | | | |
| 1983 | ირჟი ბუგარი | ჩეხოსლოვაკია | 67 72 |
| 1987 | იურგენ შულტი | გდრ | 68 74 |
| 1991 | ლარს რიდელი | გერმანია | 66 20 |
| უროს ტყორცნა | | | |
| 1983 | სერგეი ლიტვინოვი | სსრკ | 82 68 |
| 1987 | სერგეი ლიტვინოვი | სსრკ | 83 06 |
| 1991 | იური სედიხი | სსრკ | 81 70 |
| შუბის ტყორცნა | | | |
| 1983 | დეტლეფ მიხელი | გდრ | 89 28 |
| 1987 | სეპო რეტი | ფინეთი | 83 54 |
| 1991 | კიმო კინუნენი | ფინეთი | 90 82 |
| ათჭიდი | | | |
| 1983 | დეილი ტომპსონი | ბრიტანეთი * | 8666 |
| 1987 | ტორსტენ ფოსი | გდრ | 8680 |
| 1991 | დენ ო'ბრაიანი | აშშ | 8812 |

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲬᲚᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

4th IAAF
WORLD CHAMPIONSHIPS
in ATHLETICS
STUTTGART
1 9 9 3

ხვალ შტუტგარტში იწყება მძლეოსანთა მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნომერ პირველი შეჯიბრება 1993 წელს.

ოლიმპიურ თამაშებს ვერაფერი შეედრება, შემდეგ კი... სპორტის მოყვარულთა უმრავლესობა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს მიანიჭებს უპირატესობას, შემდეგ უდავოდ, მძლეოსანთა ფორუმი მოდის, რომლის მასშტაბებს მხოლოდ მისი უშუალო ხილვით თუ აღიქვამს კაცი. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს პატივმოყვარული გაქანება და სულ უფრო და უფრო მზარდი სურვილი — ყველას ყველაფერში აჯობოს — ყველაზე დიდ გამოხატულებას სწორედ მსოფლიო ჩემპიონატებში პოულობს, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე ნებისმიერ სპორტის სახეობას თვით ოლიმპიადა სახელითვე ჩრდილავს.

გერმანიის სამხრეთის ქალაქი შტუტგარტი შემთხვევით არ ამოარჩიეს მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად. „გენერალური რეპეტიცია" ევროპის ჩემპიონატის სახით აქ ჯერ კიდევ 1986 წელს ჩატარდა. ქალაქმა ეს გამოცდა მართლაც ბრწყინვალედ ჩააბარა, ამასთან ერთად შტუტგარტელმა მაყურებელმა სწორედ ამის შემდეგ დაიგდო მსოფლიოს ნომერ პირველი გულშემატკივრის სახელი. იმ ჩემპიონატს თვად ვესწრებოდი და ასეთი სითბო სხვაგან არსად მინახავს. თავისიანებს, ცხადია, სხვებზე გულმხურვალედ ქომაგობდნენ, მაგრამ სხვებსაც — იტალიელებს, ჩეხოსლოვაკებს, ფინელებს, თვით საბჭოთა კავშირის მძლეოსნებს (1986 წელი იყო) საოცრად დროული და კეთილმოსურნე დახმარებით ხელსაყრელ ფსიქოლოგიურ კლიმატს უქმნიდნენ, რათა ათლეტებს რაც შეიძლება კარგი შედეგისთვის მიეღწიათ. და როცა ასე ხდებოდა, ტრიბუნაზე აუწერელი აღტაცება ისადგურებდა; ხალხი ხარობდა ფრიადი შედეგებით. ბოლოსდაბოლოს, ხომ სწორედ ამაში იხდიდა საკმაოდ დიდ თანხას შეჯიბრებაზე დასასწრებად.

მომდევნო, 1987 წელი მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის წელი იყო, თანაც შეჯიბრება ნებიოლოს მშობლიურ ქალაქ რომში ტარდებოდა და იააფ-ის პრეზიდენტმაც საკუთარი თავიც და შესაძლებლობაც მთელი ბრწყინვალებით აჩვენა. შეჯიბრების ორგანიზაციაზე არაფერს ვიტყვით, იგი მართლაც შეუდარებელი იყო (ბედნიერება მქონდა ეს ტურნირიც მეხილა), მაგრამ სენიორმა პრიმომ — გავლენიანმა რომაელმა ვექილმა „საქმეში ჩარია" იტალიის პრეზიდენტი და თვით რომის პაპი. არ ვიცი როგორ მოხერხდა, მაგრამ ამ პატივცემულმა წყვილმა შესანიშნავი მიღება მოუწყო ჩემპიონატის საპატიო სტუმრებსა და ჟურნალისტებს.

თუმცა, რომის მსოფლიო ჩემპიონატში ერთი კონფუზიც მოხდა, რომელმაც ერთგვარად დააზარალა ნებიოლოს ავტორიტეტი. აღმოჩნდა, რომ იტალიელ სიგრძეზე მხტომელს ჯოვანი ევანჯელისტის, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, მსაჯებმა რამდენიმე სანტიმეტრი წაუმატეს. ჯოხი იააფ-ის პრეზიდენტზე გადატყდა და მისმა მოშურნეთა (რომლებიც, რა დასამალია, ცოტა არ ჰყავს) ხმამ დიდ სიხშირეს მიაღწია. თუმცა საბოლოოდ გამოცდილ ვექილს ძვრაც ვერ უყვეს.

შემდეგი ჩემპიონატი ტოკიოში ჩატარდა, მაგრამ ნებიოლომ ეს დღესასწაული არ იკმარა და იმას მიაღწია, რომ იგი ახლა ყოველ მეორე წელიწადს ტარდება, ნაცვლად ადრინდელი ოთხი წლისა. და ეს „ჩვეულებრივი, ულამაზო და მელოტი იტალიელი" (ასე უწოდებს თავის თავს) ახლა „რიგგარეშე" ჩემპიონატს ზეიმობს.

თუმცა, მას ამ შეჯიბრების წინ ერთი პრობლემა შეექმნა... მძლეოსნები, საერთოდ, სოლიდურ გასამრჯელოს იღებენ. ნებიოლომ კი გამდიდრებულ ჩემპიონებს განუცხადა: მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა ისედაც დიდი პატივია და სპორტსმენმა ამაში ფული არ უნდა მოითხოვოსო. პროფესიონალმა სპორტსმენებმა და მათმა მენეჯერებმა ეს განცხადება ლამის პიროვნების უფლებების შელახვად მიიჩნიეს და სარბიელზე წმინდა ოლიმპიური დევიზით გამოსვლა იუკადრისეს.

ნებიოლოს ფული არ უჭირს და რაკი დაატყო, რომ უკვე საბოლოოდ გაწუწკებულ მძლეოსნებს წმინდა იდეალებს ვეღარ ჩაუნერგავდა, ქისას (ე.ი. იააფ-ის ხაზინას) პირი მოხსნა და დიდი პრიზები დააწესა: პირველ ადგილზე გასული სპორტსმენი „მერსედესს" იღებს. ფული, უკვე გითხარით, იააფ-ს არ უჭირს, თვით ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟიც შურით უყურებს მძლეოსანთა შეძლების ზრდას. სხვათა შორის, მძლეოსანთა ფედერაცია ძალიან წყალობს განვითარებად ქვეყნებსაც. წლეულს, მაგალითად, მან 40 ათასი დოლარი გამოუყო საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას.

შტუტგარტის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მოხდა რამდენიმე „ღირსშესანიშნავი" მოვლენა: საკმაოდ ბევრი ცნობილი მძლეოსანი დოპინგის მიღებაში ამხილეს და დისკვალიფიკაციაც მისცეს. დოპინგკონტროლის მთავარი ცენტრი კიოლნშია და ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ შეჯიბრების მასპინძლები მომავალ მეტოქეებს გზიდან იცილებენ.

ამერიკელებს გუნდურ პირველობას ალბათ ვერავინ შეეცილება, რუსებს და გერმანელებს ალბათ მეორე ადგილის პრეტენზია ექნებათ. ჩამოთვლილთა გარდა, ბევრი ქვეყნის გუნდში გამოჩნდება „მეტიჩარა", მით უმეტეს, რომ მძლეოსნობის გავრცელების არეალი ძალიან გაფართოვდა.

მოკლედ, ხვალ შტუტგარტში იწყება ძალიან ლამაზი და საინტერესო ტურნირი, და ვფიქრობ, თვით ჩვენშიაც კი მოსკოვის ტელეარხებს მუშტარი მოემატება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

გრეგ ფოსტერი
110 მ თარჯრბენი



კარლ ლუისი
4 X 100 მ
ამანათრბენი





სერგეი ბუბკა
ჭოკით ხტომა



## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

| | | | |
|---|---|---|---|
| რბენა. 100 მ | | | |
| 1983 | მარლიზ გიორი | გდრ | 10,97 |
| 1987 | ზილკე გლადიში | გდრ | 10,90 |
| 1991 | კატრინ კრაბე | გერმანია | 10,99 |
| 200 მ | | | |
| 1983 | მარიტა კოხი | გდრ | 22,13 |
| 1987 | ზილკე გლადიში | გდრ | 21,74 |
| 1991 | კატრინ კრაბე | გერმანია | 22,09 |
| 400 მ | | | |
| 1983 | იარმილა კრატოხვილოვა | ჩეხოსლ. | 47,99 * |
| 1987 | ოლგა ბრიზგინა | სსრკ | 49,38 |
| 1991 | მარი-ჟოზე პერეკი | საფრანგეთი | 49,13 |
| 800 მ | | | |
| 1983 | იარმილა კრატოხვილოვა | ჩეხოსლ. | 1.54,68 |
| 1987 | ზიგრუნ ვოდარსი | გდრ | 1.55,26 |
| 1991 | ლილია ნურუტდინოვა | სსრკ | 1.57,50 |
| 1 500 მ | | | |
| 1983 | მერი დეკერი | აშშ | 4.00,90 |
| 1987 | ტატიანა სამოლენკო | სსრკ | 3.58,56 |
| 1991 | ჰასიბა ბულმერქა | ალჟირი | 4.02,[illegible] |
| 3 000 მ | | | |
| 1983 | მერი დეკერი | აშშ | 8.34,62 |
| 1987 | ტატიანა სამოლენკო | სსრკ | 8.38,75 |
| 1991 | ტატიანა სამოლენკო | სსრკ | 8.35,83 |
| 10 000 მ | | | |
| 1983 | არ ჩატარებულა | | |
| 1987 | ინგრიდ კრისტიანსენი | ნორვეგია | 31.05,85 |
| 1991 | ლიზ მაკკოლგენი | ბრიტანეთი | 31.14,31 |
| მარათონი | | | |
| 1983 | გრეტა ვაიტცი | ნორვეგია | 2:28.09, |
| 1987 | როსა მოტა | პორტუგალ. | 2:25.17, |
| 1991 | ვანდა პანფილი | პოლონეთი | 2:29.53, |
| 4 X 100 მ ამანათრბენი | | | |
| 1983 | გდრ | | 41,76 |
| | გლადიში, კოხი, აუერსვალდი, გიორი | | |
| 1987 | აშშ | | 41,58 |
| | ბრაუნი უილიამსი, გრიფიტ-ჯოინერი, მარშალი | | |
| 1991 | იამაიკა | | 41,94 |
| | დუპანი, კატბერტი, მაკდონალდი, ოტი | | |
| 4 X 400 მ | | | |
| 1983 | გდრ | | 3.19,73 |
| | ვალტერი, ბუში, კოხი, რიუბზამი | | |
| 1987 | გდრ | | 3.18,63 |
| | ნოიბაუერი, ემელმანი, მიულერი, ბუში | | |
| 1991 | სსრკ | | 3.18,43 |
| | ლედოვსკაია, ჯიგალოვა, ნაზაროვა, ბრიზგინა | | |
| 100 მ თარჯრბენი | | | |
| 1983 | მარტინა იანი | გდრ | 12,35 |
| 1987 | გინკა ზაგორჩევა | ბულგარეთი | 12,34 |
| 1991 | ლუდმილა ნაროჟილენკო | სსრკ | 12,59 |
| 400 მ თარჯრბენი | | | |
| 1983 | ეკატერინა ფესენკო | სსრკ | 54,14 |
| 1987 | საბინა ბუში | გდრ | 53,13 |
| 1991 | ტატიანა ლედოვსკაია | სსრკ | 53,11 |
| სიარული. 10 კმ | | | |
| 1983 | არ ჩატარებულა | | |
| 1987 | ირინა სტრახოვა | სსრკ | 44.12, |
| 1991 | ალინა ივანოვა | სსრკ | 42.59, |
| სიგრძეზე ხტომა | | | |
| 1983 | ჰაიკე დაუტე-დრეხსლერი | გდრ | 7 27 |
| 1987 | ჯეკი ჯოინერი | აშშ | 7 36 |
| 1991 | ჯეკი ჯოინერი | აშშ | 7 32 |
| სიმაღლეზე ხტომა | | | |
| 1983 | ტამარა ბიკოვა | სსრკ | 2 01 |
| 1987 | სტეფკა კოსტადინოვა | ბულგარეთი | 2 09 * |
| 1991 | ჰაიკე ჰენკელი | გერმანია | 2 05 |
| ბირთვის კვრა | | | |
| 1983 | ჰელენა ფიბინგეროვა | ჩეხოსლ. | 21 05 |
| 1987 | ნატალია ლისოვსკაია | სსრკ | 21 24 |
| 1991 | ხუან ჩუიხუნი | ჩინეთი | 20 85 |
| ბადროს ტყორცნა | | | |
| 1983 | მარტინა ოპიტცი | გდრ | 68 94 |
| 1987 | მარიანა ჰელმანი | გდრ | 71 62 |
| 1991 | ცვეტანკა ხრისტოვა | ბულგარეთი | 71 02 |
| შუბის ტყორცნა | | | |
| 1983 | ტიინა ლილაკი | ფინეთი | 70 82 |
| 1987 | ფატიმა უიტბრედი | ბრიტანეთი | 76 64 |
| 1991 | სიუ დემეი | ჩინეთი | 68 78 |
| შვიდჭიდი | | | |
| 1983 | რამონა ნოიბერტი | გდრ | 6714 |
| 1987 | ჯეკი ჯოინერი | აშშ | 7128 |
| 1991 | საბინა ბრაუნი | გერმანია | 6672 |

* ვარსკვლავით აღნიშნულია ჩემპიონატების დროს დამყარებული მსოფლიოს რეკორდები. კანადელ ბენ ჯონსონს, რომელიც 1988 წელს დოპინგის ხმარებაში ამხილეს, წინა წელს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონობა კი შერჩა, მაგრამ რეკორდი გაუუქმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# ათლეტები ყაზარმებში

შტუტგარტი ნეკარის დაბლობზე მდებარეობს; გარშემო მთები ერტყმის. ქალაქის მოსახლეობა 582 ათასია. შტუტგარტი ამაყობს იმით, რომ იგი ავტომობილის გამოგონების ადგილია. ქალაქს ამშვენებს გამორჩეული სატელევიზიო კოშკურა. შტუტგარტში 157 გამომცემლობა და ამდენივე წიგნის საფირმო მაღაზიაა.

ქალაქის სახელი მომდინარეობს ცხენსაშენიდან, რომელიც 950 წელს დაუარსებია ჰერცოგ ლიუტოლფ ფონ შვაბენს. შტუტგარტი 1219 წელს გაქალაქდა, 1806 წლიდან ვიურტემბერგის ცენტრია, 1952 წლიდან კი გფრ-ის მიწის — ბადენ-ვიურტემბერგის დედაქალაქი.

[illegible]ლეოსანთა მსოფლიო პირველობის გარდა წელს ქალაქი მეორე დიდ ღონისძიებასაც მასპინძლობს. აპრილიდან ოქტომბრამდე იქ იმართება მებაღეობისა და მეყვავილეობის საერთაშორისო გამოფენა, რომელიც 178 დღე იმუშავებს 100 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. მსოფლიოს ყველა კუთხის ყვავილნარები, წალკოტები და მოშინაურებული მხეცები იქნებიან წარმოდგენილი ვილჰელმაში, რომელიც ერთდროულად ბოტანიკური ბაღიცაა და ზოოპარკიც.

შეჯიბრების თილისმაა კურდღელი „რანი". მისი არჩევა იმითაა განპირობებული, რომ ზოოლოგთა მტკიცებით კურდღელი თურმე 80 კმ/სთ სიჩქარით დარბის, რაც მძლეოსანთათვის მისაბაძი უნდა იყოსო.

შეჯიბრება იხსნება შაბათს, 14 აგვისტოს და იხურება კვირას, 22 აგვისტოს. ოთხშაბათი, 18 აგვისტო დასვენების დღეა.

შეჯიბრებაში 2 500 მძლეოსნის მონაწილეობას ვარაუდობენ. მათ დააბინავებენ ე.წ. ათლეტთა სოფელში, რომლადაც გამოყენებული იქნება აშშ-ის არმიის ყოფილი ყაზარმები ოსტფილდერნ-ნელინგენში.

ათლეტთა სოფლიდან სარბიელამდე 15 კილომეტრია. ყოფილ სამხედრო ქალაქს შეჯიბრებისთვის გაახალისებენ სასადილოთი, საინფორმაციო ცენტრით, ტრენაჟორთა ოთახით, სამლოცველოებით, სუვენირების დუქნით, გაზეთების ჯიხურითა და დისკოთეკით.

შეჯიბრებაზე მას-მედიის 3 000 წარმომადგენლის ჩამობრძანებას მოელიან. მათთვის აწყობენ თანამედროვე პრესცენტრს საკონცერტო და სპორტულ დარბაზ ჰანს-მარტინ-შლაიერ-ჰალეში, რომლის არენასაც თეჯირებით 650 მცირე ოთახად დაყოფენ. მოაწყობენ ორ საკონფერენციო დარბაზსაც, რომლებიც 300 და 50 კაცს დაიტევს.

სპონსორები არიან: ტე-დე-კა, კარლსბერგ ბეერი, მიტა ქოფირზი, სეიკო, ენ-თი-ვი, კოკა-კოლა, ოლივეტი, სნიკერსი, ფილიპსი, ფუძიფილმი, რიბოქი, ვიზა და ევროვიზია.

ირაკლი ნინუა

მსოფლიო ჩემპიონატის კვირაძალს შტუტგარტში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) კონგრესი მოეწყო. მთელი მსოფლიოს მძლეოსნობის მამების ამ თავყრილობამ ოთხშაბათის სხდომაზე განიხილა სამი საჭირბოროტო საკითხი.

პირველი: გადაწყდა, რომ მძლეოსნობაში სრული პროფესიონალიზმი ერთხელ და სამუდამოდ დაკანონდეს. თუ აქამდე, 1982 წლიდან მოყოლებული, მძლეოსნები გასამრჯელოს ოდენ სატრასტო ფონდებიდან იღებდნენ, ამიერიდან მათ ნება დაერთოთ, კონტრაქტი უშუალოდ სპონსორთან გააფორმონ და ფული შეუზღუდავად

# მთლად გაპროფესიონალდნენ

მიითვალონ. ვითომდაც მძლეოსნობის სამოყვარულო სულის შესანარჩუნებლად კონგრესმა ცოტა მაინც წაითვალთმაქცა: ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ფულადი ჯილდოების გაცემა კვლავაც აიკრძალება, რასაც ვერ ურიგდება ზოგი ცნობილი ათლეტი და ჩემპიონატს ბოიკოტს უცხადებს.

მეორე: კიდევ უფრო გამკაცრდა აქამდე ისედაც მკაცრი ანტისადოპინგო კანონმდებლობა. არადა, გერმანიისა და კანადის ეროვნულ ფედერაციათა წინადადებები სულ საპირისპირო მიზანს ისახავდა. გერმანელებს სისხლი გაუშრო სპრინტერ კატრინ კრაბეს საქმემ. თავის დროზე კრაბეს საწვრთნელ პერიოდში აუღეს დოპინგ-სინჯი, რომელშიც ანაბოლური სტეროიდის — კლენპუტეროლის გამოყენების კვალი აღმოჩნდა. იააფ-ის სასტიკი წესებით კრაბეს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. კრაბემ სამოქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით და დისკვალიფიკაციის ერთ წლამდე შემცირებას მიაღწია: გერმანიის კანონმდებლობით პიროვნებას ერთ წელზე მეტი ხნით ვერ აუკრძალავენ პროფესიულ საქმიანობას.



კატრინ კრაბე

იააფ-მა გერმანიის მართლმსაჯულება აინუნშიც არ ჩააგდო. მაშინ კრაბეს თავისი ეროვნული ფედერაცია გამოექომაგა და იააფ-ს კანონმდებლობის გადასინჯვა შესთავაზა. გერმანიის მძლეოსნობის ხელისუფალთა წინადადებით, სასჯელთა სისტემა დოპინგის ხმარებისათვის უფრო მოქნილი უნდა იყოს. გერმანელებმა მსოფლიოს შესთავაზეს, რომ პირველი მხილებისათვის არანაკლებ 12-თვიანი დისკვალიფიკაცია დაწესდეს, მეორედ ჩაფლავებისათვის — არანაკლებ ორწლიანი, დოპინგზე მესამედ გამოჭერისათვის კი მძლეოსანს სამუდამოდ აეკრძალოს ასპარეზობა.

გერმანელებს მხარი კანადელებმაც აუბეს და მოითხოვეს, რომ დოპინგზე გამოჭერილ სპორტსმენებს შეუნარჩუნდეთ ადრე დამყარებული რეკორდები და მოპოვებული ტიტულები. ალბათ გეხსომებათ, რომ შერცხვენილი ბენ ჯონსონი იააფ-მა ერთიანად ამოშალა მძლეოსნობის მატიანიდან.

იააფ-ის სხდომამ ამ ორი წინადადების განხილვა სამომავლოდ გადადო. სამაგიეროდ დაადგინა, რომ თუ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი მაინც გამოვა სარბიელზე, სასჯელის ათვლა ხელახლა — სარბიელზე უნებართვოდ გამოჩენის დღიდან დაიწყოს. რა დასამალია და ეს ახალი წესი ბუჩ რენოლდზის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელმაც კრაბეს მსგავსად სასამართლოში საქმე მოუგო იააფ-ს და გაცდენილი დროის საკომპენსაციოდ, ლამის იყო, საარაკო თანხაც გააგდებინა.

დღის წესრიგის მესამე საკითხსაც დიდი ვნებათღელვა მოჰყვა: 40 წლის მანძილზე იააფ-ს შტაბ-ბინა ლონდონში ჰქონდა. ინგლისურენოვან ქვეყნებს სურდათ, ფედერაციის ადგილსამყოფელი უცვლელი დარჩენილიყო, მაგრამ დანარჩენმა მსოფლიომ იძალა და 138 ხმით 42-ის წინააღმდეგ იააფ-ის ბინა მონტე-კარლოში გადაატანინა.

ამასობაში, შტუტგარტის ფორუმი თან იცხრილება და თან ივსება. შეჯიბრებას გამოკლებულთა შორის არიან კენიელი სტაიერი იობეს ონდიეკი და კანადელი თარჯმორბენალი მარკ მაკკოი. ორივემ იუკადრისა ეროვნულ შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობა. ორი სტაიერი: ალჟირელი ნურადინ მორსელი და მაროკოელი ჰალიდ სკა ვერ მოხიბლა ნებიოლოს მიერ ფულადი ჯილდოს მაგივრად შეთავაზებულმა „მერსედესებმა" და მათაც განდგომა არჩიეს. ბარსელონის ორგზის ვერცხლის პრიზიორი, იამაიკელი სპრინტერი ქალი ჯულიეტ კასბერთი თავისი ქვეყნის მძლეოსნობის ხელმძღვანელობას შემოსწყრა იმის გამო, რომ ნაკრებში არ ჩარიცხეს, რაკილა შესარჩევი შეჯიბრება ტრავმის გამო გაუცდა, მაგრამ მომჯობინებულმა მშვენიერი შედეგები აჩვენა. კასბერთმა დაიქადნა, რომ იამაიკის სახელით აღარასოდეს იასპარეზებს.



ტატიანა დოროვსკიხი

გამოჯანმრთელდა ორი მძლეოსანი ქალიც: 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონ, ფრანგ ჟან-მარი პერეკს მტკივანი ბარძაყი მოურჩა, მაგრამ შტუტგარტში მხოლოდ 200 მეტრზე ირბენს. მოკეთდა [illegible] სეზონის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსან [illegible] არებული გერმანელი სიმაღლეზე მხტომელ[illegible] ნკელიც. მას მარცხენა ფეხის აქილევსის მყესი [illegible]ებდა.

სამაგიეროდ, კიდევ ოთხი მძლეოსანი [illegible] დოპინგზე და დისკვალიფიკაციებიც ჩამოური[illegible] დნენ იტალიელი მტყორცნელი ლუჩანო [illegible] საშუალო მანძილებზე მორბენალი ფინელი ქალ[illegible] ლაინიო (ამათ სტეროიდები უხმარიათ), უკრაინ[illegible] ინესა კრავეცი (ეფედრინზე) და ტატიანა დორო[illegible] რომელიც ჭათხოვებამდე სამოლენკოდ იყო ცნობ[illegible] მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სტაიერი სტა[illegible] ხმარებაში ამხილეს.

[illegible]მსაძე

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) საქართველოს ფედერაციას იმთავითვე გამოუგზავნა ნორმატივთა ნუსხა. მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ჩამოთვლილ ნორმატივებს ასრულებდნენ. ქართველთაგან თავდაპირველად ასეთი ოთხი აღმოჩნდა. მოგვიანებით მათ დაემატა მეხუთე — მაია აზარაშვილი, რომელიც სლოვენიის კლუბ „ოლიმპიაში" გამოდის. სლოვენიელებმა წერილი მოიწერეს, [illegible]ია კარგ შედეგებს აღწევს და პირ[illegible]ობაზე მიმავალთა რიცხვში შეიყვა[illegible]. როგორც ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა

# ოთხი ქართველი შტუტგარტში

გივი ჩადუნელმა გვითხრა, IAAF-მა საქართველოს დელეგაციას გაგზავნილი განაცხადის პასუხად გამოუგზავნა სახელობითი სია მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშვებული ჩვენი მძლეოსნებისა. შტუტგარტს გაემგზავრნენ: **იოსებ შავერდაშვილი** (უროს ტყორცნა), **მერაბ ყურაშვილი** (ბირთვის კვრა), **ამბროსი მატიაშვილი** (შუბის ტყორცნა), **მაია აზარაშვილი** (სპრინტი) და დელეგაციის ხელმძღვანელი გივი ჩად[illegible] პირველობისთვის სპორტსმენ[illegible]ში ემზადებოდნენ, ვინაიდა[illegible]ოსანთა ძირითად საწვრთნელ [illegible], ლესელიძესა და ეშერაში, [illegible], ვერ მ[illegible]ხვდ პოდნენ, ბათუმ[illegible]ება კი ფ[illegible]ურ სირთულეებ[illegible] აღმოჩნდა დაკავშირებული. ვერ მ[illegible]ხდა საკონტროლო შეჯიბრებ[illegible] გამართვაც. გივი ჩადუნელის თქმით, [illegible] გუნდის წევრებისგან მედლებს [illegible] უნდა ველოდოთ; მთავარია, მა[illegible] გაიმეორონ უკვე მიღწეული საერთაშორისო ნორმატივები, რაც კარგ შედეგად ჩაითვლებათ, საამისოდ კი კარგად არიან მომზადებულნი.

პაპუნა კედია

ჭაბუკთა ოლიმპიადა

# დიდი წარმატება ლინარესში

1 აგვისტოს ესპანეთის საკურორტო ქალაქ ლინარესში, სადაც ტრადიციად იქცა დიდოსტატთა სუპერტურნირების გამართვა, დასაბამი მიეცა 15 წლამდე ასაკის ჭაბუკთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას. ტურნირმა 9 აგვისტომდე გასტანა. იგი შვეიცარული სისტემით 12 ტურად მოეწყო. ყმაწვილები ზოგჯერ ორ პარტიას თამაშობდნენ დღეში.

ოლიმპიადის ჩემპიონის თასისთვის ბრძოლაში 22 ქვეყნის 28 ნაკრები მონაწილეობდა. ზოგი ქვეყანა რამდენიმე გუნდით იყო წარმოდგენილი. მაგალითად, რუსეთი ოთხი ნაკრებით. თითოეულ გუნდში ოთხი მოჭადრაკე იყო.

საქართველოს ნაკრებში საგანგებოდ შერჩეული ყმაწვილები იყვნენ (დაფების მიხედვით): სერგო მოვსესიანი (დაიბადა 3.12.1978), გიორგი ბახტაძე (2.2.1980), მიხეილ მჭედლიშვილი (4.6.1979) და ალეკო ედიშერაშვილი (31.3.1979). გუნდის მწვრთნელი იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა. დელეგაციას საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე თავკაცობდა.

ჩვენმა ჭაბუკებმა თავგამოდებით იბრძოლეს, ტოლი არავის დაუდეს. თავიდან იყვნენ ლიდერებში და ბოლოს 48-დან 36,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ. მხოლოდ ქულანახევრით გაუსწრო მათ რუსეთის პირველმა ნაკრებმა.

საქართველოს ნაკრებმა სძლია ტუნისის, მექსიკის, პორტუგალიის, ყაზახეთის (თითოეულს ანგარიშით 4:0), სომხეთის, ესპანეთის, სანკტ-პეტერბურგის (3,5:0,5), არგენტინის (3:1) და რუსეთის მესამე გუნდს (2,5:1,5). ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისის ნაკრებთან (2:2), ხოლო დამარცხდა რუსეთის პირველ (1:3) და მეორე (1,5:2,5) გუნდებთან.

ჩვენების პირადი შედეგები ასეთია: მოვსესიანი — 11 ქულა 12-დან; ბახტაძე — 8,5; მჭედლიშვილი — 9; ედიშერაშვილი — 8.

ოლიმპიადის ნამდვილი გმირი იყო სერგო მოვსესიანი, რომელმაც პირველ დაფაზე პირველი ადგილი და მცირე ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენი ნაკრების დანარჩენმა წევრებმა მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს თავიანთ დაფებზე.

ოლიმპიადამ ცხადყო, რომ მსოფლიოში მოჭადრაკეთა საიმედო ცვლა იზრდება, მათ შორის საქართველოშიც. ამიტომ ყმაწვილთა ოლიმპიადის გამართვა ტრადიციად უნდა იქცეს.

ვულოცავთ თბილისელ ჭაბუკ მოჭადრაკეებს ესოდენ სასახელო გამარჯვებას!

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი

# რამხელაა 300 000 კილომეტრი?



დღეს დილით რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან ველოსიპედით მარტომარტო დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ სტარტს აიღებს თბილისელი ჯუმბერ ლეჟავა. ზოგი რამ ამ მოგზაურობისა და თვად ჯუმბერ ლეჟავას შესახებ „სარბიელის" წინა ნომერში გიამბეთ, ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მას გუშინ ჩამოვართვით.

**— ბატონო ჯუმბერ, რატა მაინცდამაინც ცამეტში, ამ დანავსულ დღეს აპირებთ მოგზაურობის დაწყებას?**

— [illegible] გითხრათ, რომ რიცხვი ცამ[illegible] ნავსიანია? როცა სპორტულ სარბიელზე მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ცამეტში ხვდებიან, ერთ-ერთმა ხომ უნდა წააგოს. ჰოდა, წაგებული თავის მართლების მიზნით მარცხს ნავსიან დღეს აბრალებს. აი, ძლიერი კი მუდამ ძლიერად რჩება. გაიხსენეთ თუნდაც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ევროპის თასების მფლობელთა თასზე 13 მაისს გამარჯვება. სხვათა შორის, იატაკიდან ტანის მკლავებზე აზიდვაში ჩემი გინესის ათი რეკორდიდან ლამის ნახევარი სწორედ ცამეტში დავამყარე.

**— წელან ათი რეკორდი ახსენეთ, ჩვენ კი აქამდე გინესის თერთმეტგზის რეკორდსმენად გიცნობდით.**

— ასეც არის — თერთმეტგზის რეკორდსმენი ვარ. აქედან ერთი მუცლის პრესის ვარჯიშში დავამყარე.

**— ამ რეკორდის დამყარება რაღამ მოგაფიქრათ?**

— როცა კუჭ-ნაწლავის თრომბი დამემართა, მძიმე ოპერაციის შემდეგ ექიმებმა გამომიტირეს და საიქიოს გამისტუმრეს, გადავწყვიტე რადაც არ უნდა დამჯდომოდა სიკვდილი დამემარცხებინა. ამიტომ იატაკიდან ტანის აზიდვაში ვარჯიში დავიწყე, 1990 წელს კი ამგვარ ერთსაათიან ვარჯიშში მსოფლიო რეკორდი (4447) დავამყარე.

**— თქვენ ხომ დაამკიცეთ, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ხართ. დედამიწის ირგვლივ ველოსიპედით ექვსწლიანი მოგზაურობით რიღას დამტკიცებას აპირებთ?**

— საქმე ისაა, რომ ჯანმრთელობისთვის ზრუნვა სპორტულ აზარტად გადამექცა.

**— რომელი ფირმის ველოსიპედით აპირებთ მოგზაურობას?**

— ველოსიპედების მწარმოებელი ქვეყნები არც ისე ბევრია. გადავწყვიტე ხარკოვის ველოსიპედით დავიწყო.

**— რატომ მაინცდამაინც ხარკოვის ველოსიპედით?**

— უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. ამ ორ ქვეყანას ისტორიულად მრავალი მეგობრული ძაფი აკავშირებს. მათ მეგობრობა ბოლო დროსაც დაადასტურეს და არჩევანიც ამან განაპირობა.

**— როგორ ფიქრობთ, გზაში რამდენი ველოსიპედის გამოცვლა დაგჭირდებათ?**

— ერთი ველოსიპედი ბოლო ცვეთამდე 20 000 კილომეტრს უძლებს, მაგრამ ძოს[illegible] და გაუბე[illegible] ველოსიპედით ხომ არ ვივლი. ამიტომ ვფიქრობ, რომ თხუთმეტი ველოსიპედის გამოცვლა მომიწევს. ხარკოვის ქარხანამ დიდი სიხარულით სამი ველოსიპედი გამომიგზავნა. ორით ვვარჯიშობდი, მესამეთი კი გზას გავუდგები. ისრაელში „მერსედესის" ფირმა თავის ველოსიპედს დამახვედრებს და გზას ახლა იმით გავაგრძელებ.

**— საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თქვენთვის საგანგებო კვებისთვის შედგენილ რეკომენდაციებს რომ გავეცანი, გაოცებული დავრჩი: ყოველდღიურად თაფლი, ხიზილალა, შოკოლადი...**

— ამის შეძლება მე ვინ მომცა?! მართალია, სპონსორები და სამინისტროები ათასგვარ დახმარება მიწევენ, მაგრამ ის რეკომენდაციები რეკომენდაციებად დარჩა. ეგ კი არა, ბოლო დროს წონაში ოთხი კილოგრამი დავიკელი. არა, იმიტომ კი არა, რომ ვარჯიშით თავს ვიკლავ, პირიქით, საამისო დრო აღარც მრჩება. დილაობით საათობით პურის რიგში ვიდგები, მერე ათას წვრილმან საქმეზე დავრბივარ.

**— ცოლ-შვილი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?**

— სამწუხაროდ, ცოლი აღარ მყავს, გარდამეცვალა. რაც შეეხება ჩემს ორ ქალიშვილს, ერთხანს ცდილობდნენ, რომ განზრახვაზე ხელი ამეღო, მაგრამ რაკი გადაწყვეტილებას ველარ გადამათქმევინებდნენ, მერე პირიქით, წაქეზება და გულშემატკივრობა დამიწყეს. აი, ჩემს ოთხ შვილიშვილს კი ბევრი არაფერი გაეგება. უფროსი შვიდი წლისაა, უმცროსი — სამის. მათ არც ის იციან, როგორი დიდი დროა ახლობლებს 6 წლით მოწყვეტა და არც ის, თუ რამხელაა 300 000 კილომეტრი.

**— მართლაც, რამხელაა 300 000 კილომეტრი?**

— როცა ამ მანძილს დავფარავ, მერე გეტყვით.

ავთანდილ გურასაშვილი,
ავტორის ფოტო

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

### 13 აგვისტოდან განახლდება ფსონების მიღება

შეგახსენებთ თამაშის წესებს:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს. (მაგალითად, თუ თქვენ ფსონი გააკეთეთ ერთდროულად ოთხ თამაშზე და ივარაუდეთ „ვერდერის", არგენტინის, ეკვადორისა და ბრაზილიის გამარჯვება, თქვენი ვარიანტის გამართლების შემთხვევაში მიიღება კოეფიციენტი 95,3 (3,7 X 1,8 X 5,3 X 2,7). ასეთ შემთხვევაში ყოველ დადებულ ათას მანეთზე მიიღებთ 95 300 მანეთს).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 12-დან 15 საათამდე (სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დაიწყება 17 აგვისტოდან).

**უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | აინტრახტი — ვერდერი | | 1,8 | 1,8 | 3,7 |
| | ლევერკუზენი — ბაიერნი | | 2,2 | 2,7 | 1,8 |
| 15 აგვისტო | კოლუმბია — არგენტინა | | 4,4 | 1,7 | 1,8 |
| | პარაგვაი — პერუ | | 1,5 | 2,2 | 3,7 |
| | ბოლივია — ეკვადორი | | 1,2 | 3,1 | 5,3 |
| | ურუგვაი — ბრაზილია | | 2,5 | 1,7 | 2,7 |
| 18 აგვისტო | დინამო — ლინფილდი | 0:1 | 1,8 | 1,8 | 3,5 |
| | სკონტო — ოლიმპია | | 2,6 | 1,6 | 2,3 |
| | ომონია — აარაუ | | 3,5 | 1,6 | 1,9 |

„დინამო" — „ლინფილდის" მატჩის შედეგია განსაზღვრისას რეალურ შედეგს დაემატება აღნიშნული ანგარიში (0:1). მაგ. თუ მატჩი დამთავრდა 2:1, ტოტალიზატორის შედეგის განსაზღვრისას მივიღებთ ფრეს — 2:2. შესაბამისად, მოგების ფსონია — ფრე.

## XI რბოლა

15 აგვისტო, უნგრეთი
„ჰუნგარორინგის"
ავტოდრომი
წრის სიგრძე 3968 მ
74 წრე (305, 536 კმ)



| | | |
|---|---|---|
| 1992 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| | საშუალო სიჩქარე 172,42 კმ/სთ | |
| 1991 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| 1990 | ტიერი ბუტსენი | „უილიამსი" |
| 1989 | ნაიჯელ მენსელი | „უილიამსი" |
| 1988 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |

ზეგ, ბუდაპეშტიდან ოციოდე კილომეტრით დაშორებულ „ჰუნგარორინგის" ავტოდრომზე გაიმართება წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი, მეთერთმეტე ეტაპი — გათამაშდება უნგრეთის „დიდი პრიზი".

1986 წელს მოწყობილი ეს პრაქტიკულად უხიფათო წრე ჩქაროსნულებს არ განეკუთვნება. ამ მხრივ „ჰუნგარორინგი" 16-დან მხოლოდ სამ ტრასას „უსწრებს".

უსაფრთხოების თითქმის ასპროცენტიანი გარანტიის მიუხედავად, ბევრ პილოტს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკება აქ ასპარეზობა. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონის, ინგლისელი ნაიჯელ მენსელის თქმით „ამ ტრასაზე ისეთივე სივიწროვეა, როგორც მონტე-კარლოში. გასწრება თითქმის შეუძლებელია. თან აუტანელი სიცხე, ჭუჭყი და მტვერია გზაზე. ერთი რბოლისთვის ეს მეტისმეტია".

დღემდე გათამაშებული შვიდი „გრან პრიდან" 5 ბრაზილიელმა პილოტებმა მოიგეს (პირველ ორ რბოლაში უძლიერესი იყო ნელსონ პიკე). აქვე აღვნიშნავთ, რომ „ჰუნგარორინგს" სხვებზე უკეთ აუღო ალღო აირტონ სენამ — იგი შვიდჯერვე პრიზიორთა შორის იყო (სამი გამარჯვება და ოთხი მეორე ადგილი).

ბუდაპეშტში შარშანდელი რბოლა სახელგანთქმული „ფერარისთვის" საიუბილეო, მე-500 იყო. ეს იტალიური ფირმა ლიდერობს მოგებულ ეტაპთა რაოდენობითაც — 103. ერთი გამარჯვებით ნაკლები აქვს „მაკლარენს". ასე რომ, თუ სენა ამჯერადაც პირველი მივა ფინიშთან, მისი გუნდი თანარეკორდსმენი გახდება.

ბრაზილიელ „ჯადოქართან" ერთად ფავორიტად, ცხადია, წლევანდელი გათამაშების ლიდერი, ფრანგი ალენ პროსტიც ითვლება, მათ დავაში კი შეიძლება ჩაერიონ მიხაელ შუმახერი („ბენეტონი") და პროსტის თანაგუნდელი დეიმონ ჰილი.

**თუ კალათბურთს სათვალავში არ ჩავაგდებთ, რაგბი ჩვენთან დანერგილ თამაშთაგან ერთადერთია, რომელშიც ბურთის სხვადასხვა ხერხით გატანა ქულათა სხვადასხვა რაოდენობით ფასდება. ამის გამო საგულისხმოდ გვესახება ამგვარი შეფასების ევოლუციის მიმოხილვა, მით უფრო, თუ ეს პროცესი უცხადესად წარმოაჩენს თამაშის არსს სხვადასხვა ეპოქაში.**

# ლელოს ფასი

რაკი რაგბიცა და ფეხბურთიც ერთი თამაშის განაყოფები არიან, XIX საუკუნეში მათ არსიც ერთნაირი ჰქონდათ — მოთამაშეებს ფეხის დარტყმით ბურთი კარში უნდა შეეგდოთ, რასაც ინგლისურად „გოლი" („გოულ") ეწოდება.



იმდროინდელ რაგბში კარში დარტყმა სამი ხერხით შეიძლებოდა:

(1) გაგანია თამაშიდან, არეკნით;

(2) ბურთის ალალად დაჭერის შემდეგ, ასევე არეკნით; და

(3) ლელოს გატანის შემდეგ, უპირატესად მიწიდან;

ესე იგი, დღევანდელისაგან განსხვავებით ლელოს გატანა წინათ თამაშის უმთავრესი მიზანი კი არ იყო, არამედ კარში დარტყმის უფლების მოსაპოვებელი ერთ-ერთი საშუალება. შემთხვევითი როდია, რომ ლელოს ინგლისურად დღესაც „მცდელობა" („თრაი") ჰქვია, გარდასახულ ლელოს კი — „გოლი".

თავიდან რაგბში გამარჯვებულად ის გუნდი მიიჩნეოდა, ვინც მეტ გოლს გაიტანდა, ანუ ფეხის დარტყმით ბურთს მეტოქეზე მეტჯერ შეაგდებდა კარში. მაგრამ საქმე ის იყო, რომ რაკილა მოედანზე მოთამაშენი დღევანდელზე მეტნი იყვნენ და დროის უმეტეს ნაწილსაც ბურთისთვის ძიძგილაობაში ატარებდნენ, კარში ხშირად ვერ არტყამდნენ და გოლებიც ნაკლებად გაჰქონდათ. ამიტომ იყო, სულ პირველ წესებში რომ ეწერა, „თუ სამი დღის (!) განმავლობაში გოლს ვერავინ გაიტანს, თამაში ფრედ დამთავრებულად გამოცხადდებაო."

მერე და მერე მოთამაშეებმა იაზრეს და წესად დათქვეს, რომ თუ თამაში გოლებით ფრედ დამთავრდებოდა, მოგებულად ის გუნდი გამოეცხადებინათ, ვისაც მეტი ლელო ექნებოდა გატანილი, ანუ კარში დარტყმის მეტი მცდელობა ექნებოდა მოგროვილი. ამან, აგრეთვე გუნდებში მოთამაშეთა რაოდენობის შემცირებამ, მორაგბეები ლელოს გასატანად შეაგულიანა. ტაქტიკაც შეიცვალა და ბურთის გათამაშებაც გაჩაღდა.

მაშინ თანდათან ცხადი შეიქნა, რომ რაგბის ეშხი ბურთაობასა და ლელოს გატანაში ყოფილა. ამიტომ 1886 წლიდან, ანუ ბურთის გატანის სხვადასხვა ხერხის ქულებით შეფასების შემოღების დროიდან მოყოლებული დღემდე ერთთავად იზრდება ლელოს ფასი, ბურთის კარში გატანისა კი მცირდება. შარშან ხუთქულიანი ლელოს დაწესებასთან ერთად მავანნი გარდასახვისა და არეკნის ფასების თითო ქულამდე შემცირებასაც ითხოვდნენ, მაგრამ რაგბის კანონმდებლებმა არა ჰქნეს — არეკნიც ხომ რაგბის მშვენებაა, თანაც დღესდღეობით მაინც იშვიათობაა!

| შესწორების წელი | ლელოს გატანა | ბურთის კარში გატანა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გარდასახვით (ლელოიანად) | საჯარიმოდან | არეკნით | ალალად ჭერიდან |
| 1871 | 0 | 1 | | 1 | 1 |
| 1876 | 1* | 1 | | 1 | 1 |
| 1886 | 1 | 2(3) | | 3 | 3 |
| 1890 | 2 | 2(4) | 2 | 3 | 3 |
| 1892 | 2 | 3(5) | 3 | 4 | 4 |
| 1894 | 3 | 2(5) | 3 | 4 | 4 |
| 1905 | 3 | 2(5) | 3 | 4 | 3 |
| 1948 | 3 | 2(5) | 3 | 3 | 3 |
| 1971 | 4 | 2(6) | 3 | 3 | 3 |
| 1977 | 4 | 2(6) | 3 | 3 | - ** |
| 1992 | 5 | 2(7) | 3 | 3 | - |

* ფრეს დროს  ** გაუქმდა

## შედეგთა დაფა

### ხელბურთი

ევროპული ტურნირების წილისყრა. 28 აგვისტო, 4 სექტემბერი. ჩემპიონთა თასი: სტუ-„შევარდენი" — „ტატრანი" (პრეშოვი, სლოვაკეთი). თასების მფლობელთა თასი: „სვეტოტეხნიკი" (ბროვარი, უკრაინა) — „ამირანი" (თბილისი). 25 სექტემბერი, 2 ოქტომბერი. ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასი. ქალები: სტუ-„მართვე" — „პორტუ კოლეჟი" (პორტუგალია). კაცები: „მამული" (თბილისი) — „მონპელიე" (საფრანგეთი). ევროპულ ქალაქთა თასი (ახალი შეჯიბრებაა): „კოლხეთი" (თბილისი) ხორვატიის კლუბი.

### ჩოგბურთი

კიცბიუელი. „ფილიპს ჰეთ ქაფ". ფინალი. 8-9 VIII. თომას მუსტერი (ავსტრია) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 7:5, 6:4. კვირას მეორე ხელის დროს გაწვიმდა და შეხვედრა გადაიდო. თამაში ორშაბათს დამთავრდა

### რაგბი

სამხრეთ აფრიკის ტურნე ავსტრალიაში. IX თამაში. 11.VIII. მაკკაი. ქვინზლენდის პროვინციები 5 (ლ) „ქურციკები" 63 (11 ლ. 4 გ). ხვალ ბრისბენში გაიმართება მეორე ტესტი. „ვოლაბების" 9 ნომრად მაინც ფარ-ჯოუნზი ითამაშებს

## აქეთური, იქითური

წელს, ნოემბერში პუერტო-რიკოში გაიმართება ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მორიგი თამაშები, რომელშიც 4 ათასზე მეტი სპორტსმენის მონაწილეობას ვარაუდობენ. შეჯიბრების ორგანიზატორებმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს მიმართეს არზით, რომ მან კუბის დელეგაციას გამონაკლისის სახით ნება დართოს კუბიდან პირდაპირ პუერტო-რიკოზე ჩავიდეს. საქმე ისაა, რომ პუერტო-რიკო აშშ-ის სამფლობელოა, კომუნისტური კუბის მოქალაქეთათვის კი აშშ-ში შესასვლელი ერთადერთი ჭიშკარი ფლორიდის ქალაქი მაიამია.

*

პოპულარულ გოლფის მოთამაშეს, ესპანელ პროფესიონალ სევერიანო („სევი") ბალესტეროსს ზედიზედ მეორედ გაუცდა წლის უმთავრესი შეჯიბრება — გოლფის პროფესიული ასოციაციის აშშ-ის ჩემპიონატი, რომელიც გუშინ ოჰაიოს შტატში დაიწყო. მიზეზი ისაა, რომ „სევის" ბრონქიტი გაურთულდა.

*

ახლახანს დამთავრებულ ქალთა მეორე „ტურ-დე-ფრანსში" მეორე ადგილზე გასულ ფრანგ მრბოლს მარიონ კლინიეს კოფეინის ჭარბი რაოდენობა აღმოუჩინეს დოპინგ-სინჯში, რომელიც წლეულს ივნისში, ვალენსიაში, ტრეკზე მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე აუღეს. დოპინგ-კონტროლის ჩაფლავებისთვის უნივერსალ კლინიეს სამთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ორი კვირის შემდეგ იწყება.

*

ინგლისელი მოკრიკეტეები მარცხს მარცხზე განიცდიან. ორშაბათს მათ ქალაქ ეჯბარსტონში მეხუთე ტესტ-მატჩიც წააგეს ტურნეზე მყოფ ავსტრალიასთან, და მერე როგორ — 8 ბჯით, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუმრებმა მეტოქის მონაგარს ისე გადააჭარბეს, რომ ინგლისელებს მათი ორად-ორი ტაფელოსანი ჰყავდათ თამაშიდან გაყვანილი. ავსტრალიელთა ამ გამარჯვებით ტესტ-სერიის ანგარიში 4-0 გახდა. სათამაშო დარჩა ბოლო, მეექვსე ტესტი, რომელიც ლონდონის სახელგანთქმულ „ოვალზე" შემდეგ კვირაში გაიმართება. თუ სტუმრები ამ თამაშსაც მოიგებენ, ტრადიციულ „ფერფლის სერიას" სტუმარ ქვეყანაში აქამდე არნახული ანგარიშით მოიგებენ.

*

ბარსელონის ოლიმპიადის უკლებლივ ყველა — ცხრავე ამერიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მძლეოსნობაში, მათ შორის ჯეკი ჯოინერ-კერსიმ და კარლ ლუისმა, განაცხადა, რომ ყოველმიზეზგარეშე იასპარეზებს „კეთილი ნების" მესამე თამაშებში, რომელიც 1994 წლის ივლისში სანკტ-პეტერბურგში გაიმართება. შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 24 სახეობაა. ორგანიზატორები 50 ქვეყნის 2 000 სპორტსმენის ჩამოსვლას ელიან. ლუისის თქმით, „კეთილი ნების" თამაშები მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება 1996 წლის ოლიმპიადისათვის მოსამზადებლად და ამიტომ მათი გაცდენა მიზანშეუწონელიაო. აქედან ვასკვნით, რომ ლუისი მეოთხე ოლიმპიადაშიც აპირებს ასპარეზობას.

*

ლოს-ანჯელესის პოლიციამ ასაფეთქებელი მოწყობილობის უნებართვოდ ქონისთვის დააკავა პროფესიონალი კეტბურთელი, „ნიუ-იორკ ნეტსის" მინდვრის მოთამაშე ვინს კოლმენი, რომელმაც ორი კვირის წინ ლოს-ანჯელესის „დოჯერზის" სტადიონის შემოგარენში საკუთარი ავტომობილიდან მაშხალა ესროლა იქაურ გულშემატკივრებს.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)